რატომ იხდიან უფასო ატრაში 40 ლარს A3
პოლიცია და ნარკოლოგიური სამსახური - "ხელი ხელს ბანს" A3
TV პროგრამა A8

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
შაბათი, 23 სექტემბერი, 2003 წელი. №253 (465)
ფასი 30 თეთრი

ანტიკორუფციული ბიურო საგზაო პოლიციაში რეფორმებს ითხოვს

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის დავით კობახიძის განცხადება გადადგომის შესახებ დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებად, ცხადია, არავის ჩაუთვლია. მინისტრისთვის საკუთარი პერსონის სახით შექმნილი პრობლემების განეიტრალების სურვილი მას ადრეც უნდა გასჩენოდა, თუმცა თანამდებობა კობახიძემ მხოლოდ მას შემდეგ დატოვა, რაც კობა ნარჩემაშვილს პრეზიდენტის წინაშე პასუხისგების საშიშროება შეექმნა.

შესაძლოა, კობა ნარჩემაშვილის მხრიდან საბედისწეროც აღმოჩენილიყო იმის იმედად დარჩენა, რომ საგზაო პოლიციის უფროსის გამო ედუარდ შევარდნაძე ჩვეულებას ულალატებდა და ფავორიტი ანტიკორუფციონერების წინააღმდეგ წავიდოდა. ალბათ, ამიტომაც შეელია იგი დავით კობახიძეს, ოღონდ ისე, რომ ამ ნაბიჯისთვის არ მიეცა ანტიკორუფციული ბიუროს რეკომენდაციას დამორჩილების ელფერი. შესაბამისად, კობახიძე კი არ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, როგორც ამას ანტიკორუფციული ითხოვდა, არამედ იგი გადადგა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ საბოლოოდ დაესვა წერტილი იმპორტირებული მანქანების განბაჟებისას აორთქლებული 20 მილიონი ლარის კვალის ძიებას, რომელიც, ანტიკორუფციონერების აზრით, საგზაო პოლიციის მაღალჩინოსნების ჯიბეებში ილექება? ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, რადგან საქართველოში, აპრობირებული პრაქტიკიდან გამომდინარე, თანამდებობის დატოვება ყველა ცოდვის მონანიების ტოლფასია; მეორეც, თუ იმისაც გავითვალისწინებთ, ტრადიციულად, როგორ ედება ხოლმე მტვერი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გადაგზავნილ, სხვადასხვა დარღვევებში მაღალი თანამდებობის პირების მამხილებელ მასალებს.

თუმცა, იმავე ანტიკორუფციულ ბიუროში აცხადებენ, რომ საგზაო პოლიციაში აღმოჩენილი დარღვევების გამო პასუხისმგებლის ძიებას ისინი ბოლომდე მიიყვანენ.

„მისასალმებელია, რომ დავით კობახიძე თანამდებობიდან გადადგა. მისი ამ თანამდებობაზე ყოფნა ხელს უშლიდა გამოძიების ობიექტურად ჩატარებას, რომელსაც გენერალური პროკურატურა აწარმოებს. თუმცა, მის მიერ ამ პოსტის დატოვება ჩვენი რეკომენდაციის პირველი ეტაპია. ცხადია, ამას უნდა მოჰყვეს გაგრძელება - ჩვენ მიერ აღმოჩენილი კანონდარღვევების გამოძიება მხოლოდ სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან გადადგომით არ უნდა დასრულდეს“, - განაცხადა გუშინ ჩატარებულ ბრიფინგზე ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელმა კახა უგულავამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ამინდი

თბილისი	22	
ქუთაისი	26	
ბათუმი	24	
სოხუმი	26	
ფოთი	26	
თელავი	20	
ზუგდიდი	27	
გორი	20	
ახმეტა	21	
ჭიათურა	23	

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1375
ევრო	2.3951
გირვანქა სტერლ.	3.4322
რუბლი	0.0705

პუტინის იმპერიული ამბიციების წინააღმდეგ

ვლადიმერ სოკორი
"უოლ სტრიტ ჯორნელი"

შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს, შეუძლია შემდეგ სამიტზე კიდევ ერთხელ ღრმად ჩახედოს თვალებში პრეზიდენტ პუტინს. მაგრამ, პირველი შეხვედრისაგან განსხვავებით, როდესაც ბუშის თქმით, მან პუტინისადმი ნდობა შეიძინა, ამჯერად მან რუს კოლეგას უნდა აუხსნას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება.

ამჯერად, ეს სამ რამეს ნიშნავს. პირველი, მოსკოვმა ხელი უნდა აიღოს საქართველოსა და მოლდოვას დამორჩილების მცდელობაზე. მეორე, რუსეთმა ვერ უნდა დაამყაროს მონოპოლია კასპიის ნავთობისა და გაზის ტრანზიტზე. მესამე, პუტინმა უნდა გაიგოს, რომ დაუშვებელია უკრაინისა და ბელორუსის გაერთიანება "ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში".

პუტინის დღის წესრიგში ეს სამი მიზანი უმთავრეს ადგილს იკავებს. თუმცა, მან იცის, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს მათ მიღწევას, თუ დასავლეთი დაუთმობს. რუსეთმა კარგად იცის, რამდენად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება ამ სამ ფრონტზე წარმატების მიღწევას.

მოსკოვის მიერ წარმატების მიღწევა ძირს გამოუთხრის ცივი ომის შემდეგ ევროპაში არსებულ სტატუს კვოს, გაზრდის დასავლეთის დამოკიდებულებას რუსულ ენერგორესურსებზე და გამორიცხავს ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მონაწილეობას ამერიკის ხელმძღვანელობით წარმოებულ ოპერაციებში. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ ჩაწერა მოსკოვმა სომხეთი და შუა აზიის რესპუბლიკები ოპერაცია "თავისუფალი ერაყის" მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

პუტინის ზეწოლის მთავარი ობიექტი – საქართველოა. ეს ქვეყანა მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად, ევრაზიაში ამერიკისათვის გასაღებს წარმოადგენს. ამერიკის ინტერესებს კი კასპიური ენერგორესურსების ევროპაში ტრანსპორტირება და ცენტრალურ აზიაში განლაგებულ ჯარებთან კავშირის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საკუთარი ინიციატივითა და ვაშინგტონის თანხმობით, საქართველომ კრემლთან ურთიერთობების მოგვარების მტკივნეული პროცესი წამოიწყო. შედეგი? რუსეთი მოითხოვს, რომ საქართველომ უარი თქვას აშშ-სა და ნატო-სთან პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობაზე, დიდი ხნით დატოვოს რუსეთის სამხედრო ბაზები, შეუერთდეს რუსეთის მიერ კონტროლირებად ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას, ჩაერთოს რუსულ სატრანსპორტო და მილსადენთა ქსელში. მოსკოვი აცხადებს, რომ ამ პირობების შესრულების შემთხვევაში, საქართველოს შეიძლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაში დაეხმაროს, იმ კონფლიქტებისა, რომლებიც მან თავადვე შექმნა.

გაგრძელება A5 გვერდზე

„სომხეთის სინდრომი" - გაფრთხილება საქართველოს მოსახლეობას

მომავალ არჩევნებში ხმის მიცემისას უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი მეზობელი სომხეთის გამოცდილება, სადაც საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები წელს უკვე ჩატარდა. სომხეთის მოსახლეობა უკვე გრძნობს გაყალბებული არჩევნების პირველ შედეგებს, რასაც "სომხეთის სინდრომი" შეიძლება ვუწოდოთ.

გიორგი ხელაშვილი

სომხეთში წლევანდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში ხელისუფლებამ გაიმარჯვა, ხოლო არჩევნები სერიოზულად გაყალბდა. ერთი შეხედვით, არაფერი შეცვლილა. არჩევნების გაყალბება მხოლოდ ზნეობრივი დანაშაული ჰგონიათ ხოლმე, რასაც ხალხის ყოველდღიურ ყოფასთან კავშირი არა აქვს. სომხეთის არჩევნების შედეგები სწორედ რომ საპირისპიროს ადასტურებს – გაყალბებული არჩევნები, უპირველეს ყოვლისა, უბრალო მოქალაქეებს აზარალებს.

"ნეზავისიმაია გაზეტას" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა ვაზგენ არამიანის სტატია "არარატის საოცრებათა მინდორი", რომელშიც ახსნილია, თუ როგორ შეუწყო ხელი გაყალბებულმა არჩევნებმა სომხეთში დამნაშავეობის ზრდას, საკვებ პროდუქტებზე ფასების აწევას, ბიზნესმენების ძარცვას, თავისუფალი მასმედიის შეზღუდვას და ევროპასთან ურთიერთობების გაფუჭებას.

გაგრძელება A5 გვერდზე

ნინო ბურჯანაძე „შეშინებულ მამაკაცებს" მოუწოდებს

თამარ ხორბალაძე

ნინო ბურჯანაძე "შეშინებულ მამაკაცებს" ღირსების შენარჩუნებისკენ მოუწოდებს - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ საგანგებო ბრიფინგი მოიწვია და პოლიტიკოს მამაკაცებს ეთიკის კოდექსის ფარგლებში მოქმედება მოსთხოვა:

"წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში არსებული სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე", მან პოლიტიკური პარტიების ლიდერებს მოუწოდა, გადახედონ მათ მიერ ხელმოწერილ ეთიკის კოდექსს, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ბინძური პოლიტიკური მეთოდების გამოყენებას კრძალავს:

„ეთიკის კოდექსზე, სახელისუფლებო ბლოკის გარდა, ხელი ყველა პოლიტიკურ ძალას აქვს მოწერილი", — განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე

გაგრძელება A3 გვერდზე

სახელისუფლებო ბლოკს ეთიკის კოდექსზე ხელი არ მოუწერია.

მოდი, ავაშენოთ ხიდი

რომელიც, ბალტიისპირეთზე "გავლით", ნატო-სთან დაგვაკავშირებს

თბილისში ტარდება სამდღიანი საერთაშორისო კონფერენცია დევიზით - "მოდით, ავაშენოთ ხიდი", რომლის მიზანია, ნატო-ში გაწევრიანების საკითხში ბალტიისპირეთის სახელმწიფოების დაგროვილი გამოცდილების სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ "ათვისება". საქართველოს მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობენ ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო და არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველო ნატო-ში", აგრეთვე, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და დევნილთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციას ესწრებიან ლიტვის, ლატვიის და აზერბაიჯანის "პრონატოური" "ენჯეოების" ხელმძღვანელები. აღნიშნული პროექტი ნატო-ს სათავო ოფისმა დააფინანსა.

გიორგი ასანიშვილი

ალბათ, ბუნებრივია, რომ კონფერენციის გუშინდელი სამუშაო დღის "მთავარი პერსონა" "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე იყო - ყველას კარგად მოეხსენება, რომ ნატო-სთან საქართველოს დაახლოების თემატიკა თითქმის მთლიანად "ახლებს" აქვთ "მონოპოლიზებული": მათი ინიციატივით, პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების პროცესის დაწყების შესახებ, ხოლო პირადად დავით გამყრელიძე იყო არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველო ნატო-ში" დაფუძნების ინიციატორი.

"ის, რომ პოსტსაბჭოთა და შავი ზღვის აუზის ქვეყნები უკვე გახდნენ ნატო-ს წევრები, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს, ამავე მიმართულებით მუშაობის პროცესში, საკმაოდ დიდ სტიმულს აძლევს", - განაცხადა გუშინ კონფერენციის მონაწილეებისადმი მისასალმებელ სიტყვაში "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

საქართველო გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე

შესაძლოა, საქართველო გეოპოლიტიკური ინტერესების გზაჯვარედინზე მოექცეს. თუმცა, ხელისუფლების დღევანდელი პოლიტიკის გამო ნაკლებსავარაუდოა, ამან საგრძნობლად გააუმჯობესოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. "არადა, შეიძლებოდა, ამ ყველაფერს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის სერიოზული ბიძგი მიეცა," – მიიჩნევს "პი-ეს-ეი ჯორჯიას" (პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის) ექსპერტი დევი ხეჩინაშვილი. მისი შეფასებით, დღეს "გაზპრომი" დსთ-ს მასშტაბით ცდილობს კარტელის ჩამოყალიბებას, რისთვისაც ყოფილ საბჭოთა სივრცეში "პატარა გაზპრომუშკებს" ქმნის. ხელისუფლება კი "გაზპრომის" ინტერესებს თითქმის უპირობოდ ახორციელებს საქართველოში. ამას "გაზპრომთან" გაფორმებული 25-წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტიც მოწმობს, რომლის მიხედვითაც, "გაზპრომის" გავლენა საქართველოს გაზსადენებზე შეუზღუდავად შეიძლება გაიზარდოს. "საქართველოს გაზით მომარაგების უსაფრთხოების სტრატეგიული და პოლიტიკური ასპექტები" – ამ თემაზე "პი-ეს-აი ჯორჯიას" მიერ გამართული შეხვედრების ციკლი დღეს, 23 სექტემბერს, 16 საათზე, "საქართველო-ნატო"-ს ოფისში გაგრძელდება.

მაია ურუშაძე

დღეს "გაზპრომში" ხმამაღლა არ საუბრობენ იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, 10-15 წლის შემდეგ "გაზპრომის" ტაქტიკამ მსოფლიო გეოპოლიტიკა ძირეულად შეცვალოს. საქმე ისაა, რომ ევროპაში გაზის მოხმარების მაჩვენებელი კატასტროფულად იზრდება (2,4 პროცენტი წლიურად). ის რეზერვი კი, რომელსაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია (ანუ ირანული გაზი) ამერიკის შეერთებული შტატების მიერ არის სანქცირებული. ამდენად, "გაზპრომი" ღიად ვერ აფიქსირებს საკუთარ მიზანს: გააკონტროლოს ირანული გაზის ევროპისაკენ ტრანსპორტირების ყველაზე ხელსაყრელი გზა – სამხრეთ კავკასიური ტრასა.

ალბათ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები 10-15 წლით ადრე ზრუნავენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც გაზის რესურსებით მდიდარი არ არის, ცდილობს ბუნებრივი გაზის გამათხევადებელი ქარხნები გაზით განსაკუთრებით მდიდარ რეგიონებში განათავსოს. ევროკავშირი კი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს 10-15 წლის შემდეგ გაზზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

გაგრძელება A4 გვერდზე

„სახელისუფლებო ეშელონებში ტერაქტის სერიალი იგეგმება"

გუშინ ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ხელისუფლება ტერაქტების სერიალს გეგმავს. ნათელაშვილის ინფორმაციით, დივერსიული ჯგუფის გარკვეული ნაწილი "შავნაბადაზეა" დაბანაკებული.

ვერიკო თევზაძე

ლეიბორისტების ლიდერის განმარტებით, ტერაქტის მიზანია, აღშფოთებული ხალხი ქუჩაში გამოვიდეს: **"ამის შემდეგ ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს, რაც არჩევნების გადადების კონსტიტუციური საფუძველი გახდება. ახლა ბჭობენ, ვისზე განხორციელებული ტერაქტი იქნება უფრო მომგებიანი"**.

ნათელაშვილის მტკიცებით, შევარდნაძე მესამედ აპირებს გაპრეზიდენტებას. სწორედ ამისათვის იბრძვის პრეზიდენტი, რათა ახალ პარლამენტში თავისი უმრავლესობით მოვიდეს. ნათელაშვილი იმუქრება, რომ თუ ლეიბორისტებმა 2 ნოემბერს სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს, შევარდნაძის ხელისუფლებას არა თუ გაუხანგრძლივებენ არსებობას, არამედ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

მშვენიერი ემი თუ იკონოსკოპი?

თამარ ბაბუაძე

ვინც ორიოდე კვირის წინ ირაკლი სოლომანაშვილის, ლევან ადამიასა და მათი კუთვნილი "ემის" ამბავი გაიგო და ესიამოვნა, ალბათ, ახლა დაიბნა – თუ ქართველებისთვის, რომლებიც ტელექსელ Discovery-ს წარმოადგენდნენ, დაჯილდოების ცერემონიალი 3 სექტემბერს გაიმართა, გუშინ ლოს ანჯელესში შეკრებილი ამერიკული ტელევიზიის ელიტა რაღას ზეიმობდაო. თუმცა, ახლავე ყველაფერში გაგარკვევთ:

რადგანაც ამერიკული ტელევიზია გრანდიოზული ფენომენია, თავისი მსხვილ-მსხვილი ქსელებითა და წვრილ-წვრილი რაიონული ტელე-სადგურებით; სინდიკატირებული თოქ-შოუებითა და სხვა ათასი ჟანრის გადაცემით,

გაგრძელება A8 გვერდზე

ლოს-ანჯელესში "ემმი"-ს ჯილდოები დაარიგეს.

"შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ"

საქმე, რომელსაც ევროსასამართლო განიხილავს

საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს ევროსასამართლო უახლოეს მომავალში საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ სანქციებს დააკისრებს. საქმე ისაა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო დაინტერესდა საქართველო-რუსეთის საზღვრის დარღვევის ბრალდებით დაპატიმრებული 13 ჩეჩენი პატიმრის სარჩელით და მისი წარმოებაში მიღების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიიღო. სხვათა შორის, ევროსასამართლოს ისტორიაში, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ევროპელი მოსამართლეები კერძო პირების მიერ ერთდროულად ორი სახელმწიფოს წინააღმდეგ დაწერილ სარჩელებს განიხილავენ.

ხათუნა ჯანგირაშვილი

" შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ" - ასე ჰქვია საქმეს, რომლის განხილვის გადაწყვეტილებაც ევროსასამართლომ რამდენიმე დღის წინ მიიღო.

იმ 12 ევროპელ მოსამართლეს შორის, რომლებიც სარჩელის წარმოებაში მიღება-არმიღების საკითხზე მსჯელობდნენ, ჩვენი ინფორმაციით, ევროსასამართლოს ქართველი მოსამართლე მინდია უგრეხელიძეც გახლდათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

პრეზიდენტი „ხუმრობს"

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა პირველი კომენტარები გააკეთა იალტის სამიტთან და ამ სამიტზე შესმულ სადღეგრძელოსთან, ვატიკანსა და საქართველოს შორის "მომხდარ გაუგებრობასთან" და "ახალი საქართველოს" პერსპექტივებთან დაკავშირებით:

თამარ ხორბალაძე

"მე ახლაც არ მეტყვიან უარს ბიჭვინთაში დასვენებაზე..."

"რა თქმა უნდა, ვბრუნდებით," - ვითომ იხუმრა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გუშინდელ ბრიფინგზე რუსეთის ტელევიზიის ჟურნალისტის კითხვაზე საპასუხოდ – რუსეთს ძალიან აინტერესებს, რამდენად გულწრფელია ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც იალტაში პუტინის სადღეგრძელო დალია და რომლის ბოლოდროინდელი ქმედებები რუსეთისკენ "მიბრუნების" აშკარა შთაბეჭდილებას ტოვებს.

"ხუმრობის ხასიათზე" დამდგარმა ედუარდ შევარდნაძემ კითხვის ავტორთ იმედი არ გაუცრუა, ქართული აუდიტორიისთვის კი საკმაოდ დიდხანს განმარტავდა, თუ რატომ მოუხდა მაინცდამაინც მას რუსეთის პრეზიდენტის სადღეგრძელოს დალევა, რათა დსთ-ს ქვეყნების მეთაურები სუფრაზე დასადგურებული უხერხული სიჩუმისაგან ეხსნა (ჩვენ რატომღაც გვეგონა, რომ დსთ-ს მეთაურთა დონეზე გამართულ ოფიციალურ სუფრასაც თავისი ოფიციალური დღის წესრიგი ჰქონდა, თუმცა შევარდნაძისეული იმპროვიზაციებისგან არც ის აღმოჩნდა დაზღვეული).

მოკლედ, ედუარდ შევარდნაძე გუშინ ირწმუნებოდა, რომ აბსოლუტურად გულწრფელი გახლდათ, როცა პუტინს ადღეგრძელებდა და ამ გულწრფელობის საფუძვლად სოჭის შეხვედრას ასახელებდა, რომელმაც კარგი საფუძველი ჩაუყარა აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტას. იალტის, ფაქტობრივად, უშედეგო შეხვედრასთან დაკავშირებით კი ამბობდა, რომ **"იალტაში მიღწეული იქნა ყველაზე მეტი, რისი მიღწევაც კი შეიძლებოდა – დსთ-ს მეთაურებმა აღიარეს ყველა ადრე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებლობა. იმ გადაწყვეტილებებზე უკეთესს ვერაფერს დავწერდით..."** – ასეთი იყო საქართველოს პრეზიდენტის განმარტება, რომელიც მიიჩნევს, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით უკვე მიღწეულზე უკეთესს ვერც დაწერდა და ვერც მიაღწევდა.

ქართველი ჟურნალისტის კითხვაზე კი – აპირებს თუ არა პრეზიდენტი აასრულოს თავისი შეპირება იმასთან დაკავშირებით, რომ არ გავა პენსიაზე ისე, სანამ ბიჭვინთაში დასვენებას არ შეძლებს, ედუარდ შევარდნაძე პასუხობს სიტყვებით, რომლებიც კომენტარს ნამდვილად არ საჭიროებს: **"მე ახლაც არ მეტყვიან უარს ბიჭვინთაში დასვენებაზე..."**

"დაე, გაიმარჯვოს უძლიერესმა"

"რატომ დასჭირდა ეუთო-ს საქართველოში უპრეცედენტო რაოდენობით - 400-მდე დამკვირვებლის გამოგზავნა? თქვენთან დემოკრატიას ასეთი დაცვა სჭირდება? - დაინტერესდა გერმანიის ტელევიზიის ჟურნალისტი გუშინდელ ტრადიციულ ბრიფინგზე და საქართველოს პრეზიდენტისგან ახსნა-განმარტებაც მიიღო იმის თაობაზე, რომ საქართველო სულაც არ იყო ვალდებული არც ბეიკერის წინადადებები გაეთვალისწინებინა და არც ბევრი სხვისი, თუმცა დამკვირვებელთა ჩამოსვლა და დემოკრატიის არსებობა თავად საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში შედის.

გუშინდელ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა მომავალ დემოკრატიულ არჩევნებზე ბევრი ისაუბრა – ოპონენტებს კორექტულობისკენ მოუწოდა, ნანა დევდარიანს ნამუშევარი მოუწონა, შემდეგ კი თქვა, რომ სახელისუფლებო ბლოკს საკმაოდ ძლიერი ოპონენტები ჰყავს და სპორტული დევიზიც გააჟღერა: **"დაე, გაიმარჯვოს უძლიერესმა".**

სხვათა შორის, პრეზიდენტმა რკინიგზის ყაზარმულ რეჟიმში გადაყვანის ფაქტი არ დაადასტურა, პოლიციის მიერ ყაზარმულ რეჟიმში კენჭისყრის ფაქტში კი დემოკრატიისთვის შექმნილი საფრთხე ვერ დაინახა.

ორიოდე სიტყვით რელიგიაზე...

"რომის ეკლესია წმინდა პეტრეს დაარსებულია, ხოლო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია კი - წმინდა ანდრიასი, რომლებიც ძმები იყვნენ. მიმაჩნია, რომ ეს ისტორიული მონაპოვარი არ უნდა დაიკარგოს, გამოსავალი კი ისაა, რომ მივიღოთ უნივერსალური კანონი რელიგიის შესახებ," - ასეთი კომენტარი გააკეთა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ტრადიციულ რადიონტერვიუში საქართველოსა და ვატიკანს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ვატიკანის ელჩის ვიზიტის საკმაოდ უხერხული ფინალი კი მის "თბილისში არყოფნას" დაუკავშირა:

"ვატიკანის საგარეო საქმეთა მდივნის, არქიეპისკოპოსის ვიზიტი, სამწუხაროდ, ორმხრივი გაუგებრობით დასრულდა. ჩემი და საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში არყოფნამ გარკვეული დაღი დაასვა ამ ვიზიტს. შეთანხმება საქართველოსა და ვატიკანს შორის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა, ვატიკანთან საქმიანი და საგნობრივი დიალოგი გაგრძელდება. მართლმადიდებლებიც და კათოლიკებიც ქრისტიანები ვართ და არ მგონია, ვერ შევძლოთ საერთო ენის გამონახვა. ამის დადასტურება თავად სულხან-საბაცაა, რომელიც ბოლომდე ემსახურა თავის ერს და ბევრ მართლმადიდებელზე ნაკლები არ გაუკეთებია თავისი სამშობლოსთვის..." - განაცხადა პრეზიდენტმა შევარდნაძემ, რომელსაც რადიოინტერვიუში სულხან-საბას წვერით თრევის ამბავი არ უხსენებია.

ევროპელები „არჩევნების კულტურას" გვასწავლიან...

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო არჩევნების საკითხებისადმი მიძღვნილი სამდღიანი სემინარი, რომელიც ევროსაბჭოსა და ვენეციის კომისიის ეგიდით მიმდინარეობს. სემინარის სახელწოდებაა „დემოკრატია სამართლის მეშვეობით".

სამი დღის განმავლობაში ჩატარდება ხუთი სემინარი საარჩევნო თემაზე. სემინარში მონაწილეობენ პოლიტიკური პარტიები, ცესკო, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები, მოსამართლეები და უცხოელი ექსპერტები.

გახსნის დღეს სიტყვით გამოსულმა ცესკო-ს თავმჯდომარემ ნანა დევდარიანმა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ სემინარის მონაწილეებს განუმარტეს, რომ დაგვიანებით მიღებული საარჩევნო კოდექსის თითოეული ნორმის შესწავლა და დანერგვა, თავისთავად, პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. ძირითადი მიზანი კი სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა.

ნანა დევდარიანმა ამომრჩეველთა მარკირების წესის შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, ერთ-ერთ საუკეთესო, დასავლეთში აპრობირებულ მეთოდს - ამომრჩეველთა მარკირებას ქართული საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა.

„ვფიქრობ, მარკირების მოწინააღმდეგეებში შეიძლება ვიგულისხმოთ ის ძალები, რომლებისთვისაც ე.წ. "კარუსელი" არჩევნებში გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი გამოსავალია," — თქვა დევდარიანმა.

გუშინ სიტყვით გამოსულმა ვენეციის კომისიის რეფერენდუმისა და არჩევნების დეპარტამენტის წარმომადგენელმა გაელ მარტენ მიკელევმა მხარი დაუჭირა საქართველოში 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა მარკირების წესის შემოღებას.

ხოლო, როგორც ჟურნალისტებს საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენელმა პლამენ ნიკოლოვმა განუცხადა, რამდენიმე ასეული საერთაშორისო დამკვირვებელი, რომელიც არჩევნების მონიტორინგს განახორციელებს, მათ ხელთ არსებულ ყველა უფლებასა და საშუალებას გამოიყენებს, რათა ამომრჩეველს საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება მიეცეს. ნიკოლოვმა იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებს მომავალ არჩევნებში ხელისუფლების მხრიდან არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ.

24 საათი

აფხაზები არარსებულ ქართველ დივერსანტებს ეძებენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ყველა ძალოვანი სტრუქტურა, კერძოდ - შს სამინისტრო, უშიშროების სამსახური, თავდაცვის სამინისტრო და ე.წ. სახელმწიფო დაცვის სამსახური 25 სექტემბრიდან მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე გადავა.

არძინბას ეს განკარგულება სოხუმში, 30 სექტემბერს, აფხაზ სეპარატისტთა მიერ მოგონილი დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას უკავშირდება.

"გვაქვს ყველა საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი ძალა დაინტერესებული არის ვითარების დესტაბილიზაციით და საზეიმო ღონისძიებების ჩაშლით", - აცხადებს სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალმა.

გარი კუპალმა აცხადებს, რომ დასავლეთ საქართველოდან გალისა და გულრიფშის რაიონებში ქართველი დივერსანტების 70-კაციანი ჯგუფი უკვე გადასულია და ამჟამად მიმდინარეობს მათი ძებნა. **მედია-ნიუსი**

მოდი, ავაშენოთ ხიდი

პირველი გვერდიდან

ის, რომ ბალტიის ქვეყნებმა ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით მოახერხეს ნატო-სა და ევროკავშირში შესვლა, გამყრელიძის აზრით, სამაგალითო უნდა იყოს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისთვის. თუმცა, რეგიონული კონტაქტების გაღრმავების მიზანშეწონილობაზე საუბრისას, "ახლების" თავკაცი სინანულით აღნიშნავს, რომ **"სომხეთის მხრიდან გარკვეული თავშეკავება და პასიურობა იგრძნობა".** ამიტომ, გამყრელიძე არ გამორიცხავს, რომ ნატოში შესვლის მსურველთა "კონფიგურაცია" შეიცვალოს და სამხრეთ კავკასიის რეგიონში სომხეთს უკრაინა "ჩაენაცვლოს". მით უმეტეს, უკრაინის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებთან ამ კუთხით კოორდინაცია უკვე დაწყებულია და ზოგიერთ საკითხზე შეთანხმება მიღწეულია.

ნატო-სკენ საქართველოს სწრაფვის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში დავით გამყრელიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კარსმომდგარ საპარლამენტო არჩევნებს. **"ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებისთვის აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა, რაც, თავის მხრივ, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას და, რაც მთავარია, ხალხის მიერ გაკეთებული არჩევანის სისწორეს უკავშირდება",** - აცხადებს "ახლების" ლიდერი.

ჩვენს ქვეყანას შეუძლია გახდეს პლაცდარმი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.

მისი სურვილია, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველო წარდგეს, არა როგორც მხოლოდ "მომხმარებელი", არამედ, როგორც ერთგვარი ინვესტორი თავად ნატო-სთვის. გამყრელიძის თქმით, ნატო-სთვის თუნდაც იმიტომ შეიძლება იყოს სასურველი საქართველოს "მიერთება", რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია გახდეს პლაცდარმი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

"სწორედ აქ არის თავმოყრილი ძირითადი საფრთხეები ცივილიზებული სამყაროსთვის და ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო ამ რეგიონში დემოკრატიული ფასეულობების დასამკვიდრებლად", - ასეთი "საბაბით" ცდილობს გამყრელიძე ნატო-ს წევრი სახელმწიფოების "ცდუნებას".

თუმცა, საქართველოს "განატოელებამდე" კიდევ ბევრი წყალი რომ ჩაივლის, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერისთვისაც ნათელია: ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებთან ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობა ჯერ ხომ მხოლოდ "ენჯეოების" დონეზეა.

სეპარატისტო, გახსოვდეს ჰააგა!

მიმდინარე წლის 27 სექტემბრიდან, ანუ სოხუმის დაცემიდან ზუსტად 10 წლის შემდეგ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ქართული სასამართლოების გარდა ჰააგის საერთაშორისო სისხლის სასამართლოს იურისდიქციაც გავრცელდება. ამის შესახებ შეახსენებს საზოგადოებას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაქარია ქუცნაშვილი.

როგორც ცნობილია, საქართველო რომის სტატუტს ივლისის თვიდან შეუერთდა, როდესაც ქვეყნის პარლამენტმა შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. მართალია, ჰააგის სასამართლოსთან საქართველოს მიერთებით, აფხაზ სეპარატისტებს წინა წლებში ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდისა და სამხედრო დანაშაულებისთვის პასუხი არ მოეთხოვებათ, მაგრამ ქუცნაშვილის თქმით, ახალი რეალობა აიძულებს აფხაზებს დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებას უფრო "ფრთხილად" მოეკიდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავე პირთა სამართლებრივი დევნა უკვე საერთაშორისო ეგიდით განხორციელდება.

ქუცნაშვილის თქმით, ახალი რეალობა აიძულებს აფხაზებს, დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებას უფრო "ფრთხილად" მოეკიდონ.

პარლამენტარის განმარტებით, ამა თუ იმ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მხოლოდ ქვეყნის გენერალურ პროკურორს შეუძლია. შეგროვილი ინფორმაცია მან უნდა გადასცეს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც მასალებს ჰააგის სასამართლოს გენერალურ პროკურორს გადაუგზავნის. სწორედ ამ უკანასკნელის პრეროგატივაა დამნაშავე პირის დაპატიმრების ბრძანების გაცემა.

ქუცნაშვილის განცხადებით, სწორედ საერთაშორისო სისხლის სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებზე იყო მსჯელობა 11-16 სექტემბერს აშშ-ში, გაერო-ს შტაბ-ბინაში გამართულ კონფერენციაზე, რომლის მუშაობაშიც, 60-ზე მეტი ქვეყნის 200 პარლამენტართან ერთად, თავადაც მიიღო მონაწილეობა.

24 საათი

ანტიკორუფციული ბიურო საგზაო პოლიციაში რეფორმებს ითხოვს

პირველი გვერდიდან

მისივე თქმით, ანტიკორუფციულის მიერ გადაგზავნილი მასალების საფუძველზე გენერალურ პროკურატურაში ორი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა – ერთი საბაჟო დეკლარაციების გაყალბების ფაქტზე, მეორე კი უშუალოდ იმ თანამდებობის პირის მიმართ, ვისი ხელმოწერებიც ფიგურირებს ყალბ დოკუმენტებზე. უგულავას ინფორმაციით, უშუალოდ დავით კობახიძის სისხლის სამართლის პასუხიმგებლობა, მართალია, არ იკვეთება, თუმცა, პროკურატურაში შეკრებილი მასალებით მისთვის დისციპლინარული სასჯელის დაწესების, ანუ თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი ისედაც დადგებოდა.

"ხოლო მათ, ვისი უშუალო მონაწილეობაც იკვეთება დანაშაულში, იმედი მაქვს, მალე სასამართლოში ვიხილავთ", - ამბობს უგულავა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციაში რეფორმების მომზადებისათვის ერთთვიან ვადას აძლევს: **„შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილისათვის უკვე ცნობილია ამ სისტემაში არსებული კანონდარღვევების შესახებ. ამიერიდან მან მის ხელთ არსებული ბერკეტები უნდა გამოიყენოს, რათა პოლიციაში გატარდეს რეფორმები, მოხდეს მისი რეორგანიზაცია და ხალხისათვის „ფულის წამგლეჯი" სამსახური მოსახლეობის ინტერესთა დამცველ სამსახურად ჩამოყალიბდეს,** - აცხადებს იგი, - **სანამ ეს არ მოხდება, კიდევ არაერთ ხელმძღვანელს მოუწევს, თანამდებობას დაემშვიდობოს".**

ანუ, თუ რეფორმები არ გატარდა, ანტიკორუფციონერთა სამიზნე საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მორიგი უფროსიც შეიძლება გახდეს. სხვათა შორის, ამბობენ, ამ თანამდებობისთვის შინაგან საქმეთა მინისტრი კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსს დავით კაჭკაჭიშვილს ამზადებსო.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კახა უგულავა, საგზაო პოლიციაში გასატარებელი ცვლილებების პროექტის წარსადგენად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას პრეზიდენტთან ეპატიჟება, მანამდე კი, მისი თქმით, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ იმპორტირებული მანქანების განბაჟების საქმეში აღმოჩენილი დარღვევების გამო ატეხილმა აჟიოტაჟმა შედეგი უკვე გამოიღო; კერძოდ, მანქანების განბაჟებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი ამ ერთ თვეში რვაჯერ გაიზარდა.

რაც შეეხება, იმავე ანტიკორუფციული საბჭოს გეგმებს, მათ დღის წესრიგში კვლავაც შინაგან საქმეთა სამინისტრო რჩება საპასპორტო-სავიზო რეჟიმის მთავარი სამმართველოს მუშაობაში აღმოჩენილი დარღვევების გამო, რასაც საბჭოს სხდომაზე დღეს განიხილავენ.

ორი ჟურნალი საოლქო კომისიაში - დარღვევა თუ კანონმორჩილება

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავის N6 საოლქო საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობა შეიკრიბა. მისმა უმრავლესობამ თავმჯდომარის მოადგილედ ლევან მამალაძის ყოფილი თანაშემწე ალექსანდრე ედიშერაშვილი დაამტკიცა, ხოლო კომისიის მდივნად დაუსწრებლად აირჩიეს გიორგი მაღრაძე, რომელიც ასევე მამალაძის თანაშემწედ მუშაობდა. რუსთავის ახალი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მისი 5 წევრი სახელისუფლებო ბლოკს ეკუთვნის, 5 - აღორძინებასა და მრეწველებს, რომლებიც სახელისუფლებო ბლოკს აშკარად უჭერენ მხარს. საერთო იდილიას, სავარაუდოდ, "ნაციონალების", "ქრისტიან-კონსერვატორების", "ლეიბორისტების" და "ახალი მემარჯვენეების" თითო-თითო კაცი დაარღვევს, თუმცა ეს საბოლოოდ არაფერს შეცვლის.

კომისიის პირველივე შეკრებაზე "ნაციონალებისა" და "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენლებმა სხდომის ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დააყენეს.

"მათ ხელთ არსებულ სარეგისტრაციო ჟურნალში დაფიქსირებულია მხოლოდ ის ხუთი წევრი, რომელიც პრეზიდენტმა წარადგინა საოლქოში. ამიტომ მე ეჭვქვეშ ვაყენებ დღევანდელი სხდომის და იმ წევრების ლეგიტიმურობას, რომლებიც დადგენილი წესით ამ ჟურნალში, ან ძველი საოლქო კომისიის ჟურნალში რეგისტრირებულნი არ არიან," - განუცხადა "24 საათს" ნაციონალმა სოსო მაზმიშვილმა.

როგორც გაირკვა, რუსთავში საოლქო კომისიის ორი სარეგისტრაციო ჟურნალი არსებობს - ძველი და დროებითი. კომისიის ყოფილი თავმჯდომარე კახა გურგენიძე ამას დარღვევას უწოდებს: "მე ვერ გეტყვით, ვინ აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა, რომ მოეგონებინათ რაღაც დროებითი სარეგისტრაციო ჟურნალი, ამას კანონი არ ითვალისწინებს. გამოდის, რომ დარღვეულ იქნა ის პრინციპი, რომ ძველი საარჩევნო კომისია ვალდებულია შეასრულოს თავისი ფუნქციები მანამ, სანამ არ შეიკრიბება ახალი საარჩევნო კომისია."

საოლქო საარჩევნო კომისიის ძველი შემადგენლობა ვალდებულია ახალს დოკუმენტაცია, ჟურნალი და ბეჭედი გადააბაროს. ეს პროცედურა გუშინ საღამოს 6 საათისათვის ჯერ დასრულებული არ იყო.

"აქ მოხდა გაუთვალისწინებელი ინციდენტი - ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებით, გუშინ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წევრების დანიშვნის ვადა დამთავრდა. უფლებამოსილი სუბიექტები ვალდებულნი არიან, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები წარადგინონ როგორც საოლქო, ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. გუშინ საღამოს 6 საათზე გაირკვა, რომ ეს ვადა დარღვეულ იქნა ამ სუბიექტების მხრიდან, არც საოლქო და არც საუბნო კომისიის წევრებზე წარდგინებები ძველ საარჩევნო კომისიას არ მიუღია. როგორც დღეს დგინდება, წარდგინებები კომისიის ახალ თავმჯდომარესთან მიუტანიათ, რომელიც, რასაკვირველია, დანიშნულია, მაგრამ კანონით ეს უნდა მომხდარიყო კომისიაში და არა თავმჯდომარესთან," - განუცხადა "24 საათს" კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ კახა გურგენიძემ. მისი თქმით, ძველ ანუ მაშინ ჯერ კიდევ მოქმედ კომისიაში წევრები მხოლოდ ნაციონალებმა, ქრისტიან-კონსერვატორებმა და ახლებმა წარადგინეს.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ყოფილმა თავმჯდომარემ, კახა გურგენიძემ მოასწრო და საუბნო კომისიების 54-ვე თავმჯდომარე უკვე დანიშნა. "ამას არანაირი პოლიტიკური ქვეტექსტი არ უდევს, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ ჩვენი მოვალეობა მოგვეხადა და ახალ კომისიას კარგი მემკვიდრეობა დარჩენოდა. ეს ადამიანები აბსოლუტურად ლეგიტიმურად არიან დანიშნულები," - განაცხადა გურგენიძემ. წინასწარი ინფორმაციით, უახლოეს სხდომაზე ახალი კომისიის თავმჯდომარე თავისი წინამორბედის ამ გადაწყვეტილებას გააუქმებს, რასაც, სავარაუდოდ, 54 ადამიანის პროტესტი მოჰყვება. "თუ მათ გაუშვებენ დაკავებული თანამდებობიდან, ეს, შესაძლოა, შრომითი დავის საგანი გახდეს," - აცხადებს კახა გურგენიძე.

ორი სიტყვით

თბილისი. არაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბა ჩართულია იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც სამშაბათს თბილისში ჩამოდის, რათა მონაწილეობა მიიღოს უსაფრთხოების გარანტიების შემუშავების მიზნით მხარეებს შორის დაგეგმილ მოლაპარაკებებში, რომელიც გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინისა და გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი) მონაწილეობით გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის ლიდერი ვლადისლავ არძინბა მიმდინარე კვირას, ივნისში დაწყებული მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ სოხუმში ბრუნდება. ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწემ ასტამურ ტანიამ აცნობა. მისი თქმით, "მკურნალობის შემდეგ ვლადისლავ არძინბა თავს შედარებით კარგად გრძნობს". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგისთვის აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაციასთან ერთად შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი და სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე სტროუბ ტელბოტი საქართველოს ეწვევიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერიასა და მის სამსახურებში საკადრო ცვლილებები გრძელდება. თბილისის პრემიერის გია შერაძის თანამდებობიდან წავლის შემდეგ დღეს თანამდებობა ოფიციალურად დატოვა თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელმა დავით მუმლაძემ, რომელიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ზესტაფონშია დასახელებული. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო არჩევნების საკითხებისადმი მიძღვნილი სამდღიანი სემინარი, რომელიც ევროსაბჭოსა და ვენეციის კომისიის ეგიდით მიმდინარეობს. სემინარის სახელწოდებაა „დემოკრატია სამართლის მეშვეობით". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ გარდაბნის რაიონის მოსახლეობამ "ეი-ი-ეს მტკვარის" მეცხრე ენერგობლოკთან მისასვლელი გზა გადაკეტა, მეათე ენერგობლოკის აფეთქების შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციის მოთხოვნით. "ეი-ი-ეს მტკვარში" აცხადებენ, რომ ამჟამად მეცხრე ენერგობლოკზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და აქციის გამო სამუშაოების გაგრძელება შეუძლებელი გახდა. "ეი-ი-ეს მტკვარმა" დაზარალებულთათვის კომპენსაციის სახით 347 ათასი ლარი უკვე გასცა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. შეიქმნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ კავკასიის გაზსადენის პროექტის მშენებლობისა და ოპერირების მონიტორინგის საკოორდინაციო ცენტრი და მას პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს სტატუსი მიენიჭა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი, "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" სომხეთთან ელექტროენერგიის იმპორტის თაობაზე მოლაპარაკებები ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით დაიწყო. სომხეთიდან ელექტროენერგია ნინოწმინდის გადამცემი ხაზის მეშვეობით შემოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილის ნუგზარ უფლისაშვილის შეფასებით, ზამთრისთვის მზადების პროცესისათვის მინიმალური ტექნიკური სამუშაოების ჩასატარებლად ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი თანხებს ეტაპობრივად გამოყოფს და ზამთარში პრობლემები არ შეიქმნება. "საბითუმო ბაზარში 5 მილიონი ლარი შევიდა, რაც ხელფასების გასაცემად, სხვა ხარჯების დასაფარად და ტექნიკური სამუშაოების ჩასატარებლად, ცხადია, საკმარისი არ არის," - განაცხადა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ოქტომბრის დასაწყისში "თბილავიამშენი" "მავერიკის" ტიპის ხუთადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავის პრეზენტაციას მოაწყობს. საწარმომ ამერიკულ კომპანია "მავერიკთან" გააფორმა ხელშეკრულება და ხუთადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავების გამოშვება წელს დაიწყო. პრეზენტაციაზე წარდგენილი თვითმფრინავი პირველი იქნება, რომელიც საწარმომ კომპანია "მავერიკის" დაკვეთით ააწყო. ხუთადგილიანი სამგზავრო ხომალდი სამედიცინო, საფოსტო და სამგზავრო მომსახურებისთვისაა გათვალისწინებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილგაზმა" ვაკე-საბურთალოს რაიონის მომხმარებლისთვის დღეს გაზმომარაგების აღდგენა დაიწყო. გუშინ ბუნებრივი აირი საბურთალოს რაიონში მცხოვრებმა აბონენტებმა მიიღეს. კომპანიაში აცხადებენ, რომ გამორთული უბნების დატვირთვა რთულად მიმდინარეობს და წინასწარი გრაფიკის შედგენა ჭირს. "თბილგაზი" დედაქალაქის სრულად დატვირთვას 10 ოქტომბრისთვის ვარაუდობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ორი დღეა, რაც კახეთს ბუნებრივი აირი არ მიეწოდება. დაზიანებულია ტყეში გამავალი მაღალი წნევის გაზსადენი თიანეთი-ახმეტის მიმართულებით. "ვვარაუდობთ, რომ კახეთი ბუნებრივ აირს უახლოეს ორ დღეში მიიღებს," - განაცხადა გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი კიზირიამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ საღამოს, თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მომხდარ ავტოავარიას 37 წლის გოჩა ფარცვანიას სიცოცხლე შეეწირა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ავტომანქანა „ბმვ", რომელსაც 51 წლის დიმიტრი ხითარიშვილი მართავდა, დაეჯახა „მერსედესის" მარკის ავტომანქანას, რომლის საჭესთან აფხაზეთის უშიშროების მინისტრის მოადგილე მალხაზ კორძახია იმყოფებოდა. გოჩა ფარცვანია, რომელიც კორძახიას მგზავრი იყო, საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 42 წლის ილია ჭრელაშვილი და 29 წლის ილია ქრისტესიაშვილი პოლიციელებმა ავტომანქანის მოპარვის მცდელობისას დააკავეს. წინასწარი ინფორმაციით, ქრისტესიაშვილს და ჭრელაშვილს დიღმის მასივიდან ირაკლი დანელიას კუთვნილი ავტომანქანა „ნისან-ლებერდის" გატაცება სურდათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 50-მდე აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქემ გენერალური პროკურატურის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი მარნეულის პროკურორის მოადგილეს თენგიზ კოტრიკაძეს სისხლის სამართლის საქმის არაობიექტურ გამოძიებაში დებენ ბრალს. საპროტესტო აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, დაზარალებული ახმედოვის ადვოკატმა ირაკლი ქართველიშვილმა განაცხადა, რომ 2003 წლის 7 ივნისს, მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში, სამ გვარს - მამედოვებს, მუსაევებსა და ახმედოვებს შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა. ინციდენტის დროს დაიღუპა კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილე ახმედოვი.

ქართველიშვილის განცხადებით, დაზარალებულის ნათესავები მიიჩნევენ, რომ პროკურორი გამოძიებას წარმართავს ტენდენციურად - მუსაევების სასარგებლოდ და დაზარალებულების მხრიდან არავითარ მტკიცებულებებს არ იღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ მსოფლიო პატრიარქი ყოვლად უწმინდესი ბართლომეოს პირველი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან ერთად ბათუმს ეწვია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. კვირის ბოლოს საქართველოს სატყეო დეპარტამენტი ტყეების რესპუბლიკურ დათვალიერებას ჩაატარებს. დეპარტამენტის თანამშრომლები ქვეყანაში არსებული ყველა ტყის მდგომარეობას შეისწავლიან. **ინტერ-პრესი**

„სახელისუფლებო ეშელონებში ტერაქტის სერიალი იგეგმება"

პირველი გვერდიდან

შრომის პარტიის თავმჯდომარე სახელისუფლებო ბლოკს ბანდიტურ დაჯგუფებას უწოდებს. ნათელაშვილის აზრით, ბლოკის წევრების დაპატიმრების შესახებ, მათი ჰაბიტუსიდან გამომდინარე, ყოველგვარი გამოძიების გარეშე შეიძლება სანქციის გაცემა. **"პრეზიდენტი ცდილობს, ქვეყნის ყველა კუთხეში დაგზავნილი მონადირეების დახმარებით, ხმები გააყალბოს... ხელისუფლება ძალოვნებზე წარმოუდგენელ ზეწოლას ახდენს"**, - აცხადებს ნათელაშვილი და დასძენს, რომ ხელისუფლების მთავარი მიზანია მაჟორიტართა მანდატების ხელში ჩაგდება: **"ყოველმხრივ ცდილობენ, როგორმე 75 კრიმინალი მაჟორიტარი გაათრიონ."**

ნათელაშვილი სახელისუფლებო ბლოკს ბანდიტურ დაჯგუფებას უწოდებს.

ნათელაშვილი საზოგადოებას შეახსენებს, რომ არჩევნების გაყალბების ერთ-ერთი მეთოდი არის სოციოლოგიური პიარ-კამპანია, რომლის საშუალებითაც ფულიანი პარტიები მოსახლეობის ზომბირებას ახდენენ. ლეიბორისტთა ლიდერის თქმით, მას არ აქვს ფული, ამიტომ ეყრდნობა სოციოლოგიური კვლევის სააგენტოს – "გორბის" მონაცემებს და, რაც მთავარია, საკუთარ მოსაზრებას, რომ **"ლეიბორისტული პარტია ერთი წელია, რაც ოლიმპზე იმყოფება."**

გუშინ შალვა ნათელაშვილმა ჟურნალისტებს უამბო, როგორ სთავაზობდა ედუარდ შევარდნაძე თანამშრომლობას 1992 წელს, მან კი უარი სტკიცა: **"მაშინ შევარდნაძემ მომაძახა – შალვა, გავა დრო და, ალბათ, დაღვინდებიო."** ოლიმპზე მყოფი პარტიის ლიდერს ამ ფაქტის გახსენებაზე ირონიულად ეცინება: **"ჩემს დაღვინებაზე თავს ნუ იწუხებს, თავად არ დაძმარდეს, თორემ..."**

ნინო ბურჯანაძე „შეშინებულ მამაკაცებს" მოუწოდებს

პირველი გვერდიდან

ნინო ბურჯანაძემ და გამოვიდა ინიციატივით, რომ საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდეს ეთიკის ახალი კოდექსი, რომელსაც პოლიტიკური სპექტრის სრული მხარდაჭერა ექნება.

"სახელისუფლებო ბლოკის ლიდერების, მხარეების გუბერნატორების დავალებით რაიონების გამგებლები და სხვა უწყების ხელმძღვანელი პირები ულირსი მეთოდებით ატერორებენ მოსახლეობას, რითიც ცდილობენ ჩაშალონ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან ამომრჩევლის შეხვედრები," – ასე აღწერს ნინო ბურჯანაძე დღეისათვის შექმნილ ვითარებას, რამაც ასეთი მოწოდება აუცილებელი გახადა.

აქვე საუბრობს წინასაარჩევნოდ ხელისუფლების ტაქტიკაზე: **"სახელისუფლებო ბლოკი არ ხვდება ამომრჩეველს, არ აწარმოებს წინასაარჩევნო კამპანიას, არ მუშაობს ელექტორატზე, რაც ნიშნავს, რომ იგი სახელისუფლებო ბერკეტების იმედადაა და დაკავებულია სხვისი წინასაარჩევნო კამპანიის ჩაშლით. მე ბევრი მსგავსი მაგალითი დამიგროვდა..."** – ამბობს ნინო ბურჯანაძე და სახელისუფლებო ძალის მიერ არჩევნების გაყალბების მცდელობის ნიმუშად ასახელებს პოლიციის ყაზარმულ ვითარებაში გადაყვანას და საარჩევნო ყუთების ყაზარმებში მიტანის სურვილს, რაც 40 000 პოლიციელის ხმას სახელისუფლებო კალათაში აღმოაჩენს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ისაუბრა მის წინააღმდეგ წარმოებულ შავ პიარზე და საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ მსგავსი კამპანია "საგანგებო მასშტაბებს აღწევს" საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ მასმედიაში.

"შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ"

პირველი გვერდიდან

მოგეხსენებათ, ევროსასამართლოს აქვს რთული პროცედურული მხარე და მისი თითოეული მოთხოვნის დაკმაყოფილება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დასაშვებია, სტრასბურგში გაგზავნილმა საქმემ ან არ ჩააღწიოს იქამდე, ანდა ჩააღწიოს და მიუღებელ-განუხილველი დარჩეს. ფაქტი ერთია, ჩეჩენი პატიმრებისა და მათი ქართველი ადვოკატების სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში განსახილველად მიღებულია. თავიდანვე საეჭვო იყო, ევროპელ მოსამართლეებს ხარვეზები აღმოეჩინათ იმ ქართველ ადვოკატთა სარჩელში, რომელთაც ევროსასამართლოსთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ. ევროსასამართლოში ჩეჩენთა ინტერესებს სწორედ ის ადვოკატები იცავენ, რომლეთაც ცოტა ხნის წინ თბილისში სტუმრად მყოფი ევროპელი ექსპერტ-მოსამართლეების ქება-დიდება დაიმსახურეს. "ტრენინგი პრაქტიკოს ადვოკატთათვის ევროსასამართლოს საქმეებზე" – ასე ერქვა პროგრამას, რომელიც ევროსასამართლოს წარმომადგენლებმა (არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრების ორგანიზებით) ოც ქართველ ადვოკატს ჩაუტარეს. მაშინ უცხოელმა მოსამართლეებმა და ექსპერტებმა ქართველ ადვოკატთა საქმიანობას უმაღლესი შეფასება მისცეს და განაცხადეს, რომ ისინი უკვე უპრობლემოდ შეძლებდნენ ქართული საკანონმდებლო ბაზის ამოწურვისა და ყველა ინსტანციის მოვლის შემდეგ ადამიანის უფლებების დაცვას სტრასბურგში.

ერთი სიტყვით, იმ ხუთი ჩეჩენის საქმის განხილვას, რომლებიც ქართულმა მხარემ რუსეთს უპრობლემოდ, გასაიდუმლოებულად გადასცა და რომელთაც სტავროპოლში ტერორიზმისა და ბანდიტიზმის ბრალდებით უკვე ასამართლებენ, ევროსასამართლო ცოტა ხანში დაიწყებს. რაც შეეხება საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაკავებულ რვა ჩეჩენს, რომლებიც ქართული კანონმდებლობით გაასამართლეს და რომელთაც, შესაძლოა, კვლავ დაემუქროს რუსეთში ექსტრადირების საფრთხე, ევროსასამართლო საკუთარი წარმომადგენლების დელეგაციას გამოაგზავნის და აქ, ადგილზე მოხდება მათი საქმეების შესწავლა.

ჩვენი ინფორმაციით, ევროსასამართლომ (რუსეთის მთავრობის მოთხოვნით) კონფიდენციალურად და დახურულად გამოაცხადა იმ ხუთი ჩეჩენის საქმე, რომლებსაც სტავროპოლში ასამართლებენ. ამდენად, სტრასბურგიდან დაბრუნებულ ქართველ ადვოკატებს ევროსასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად მხოლოდ იმ საკითხების გახმაურების უფლება აქვთ, რაც ევროსასამართლოში საჯაროდ განიხილება.

"ის ფაქტი, რომ ევროსასამართლომ წარმოებაში მიიღო 13 პატიმრის საქმე, თავისთავად უკვე ნიშნავს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება მომჩივანთა სასარგებლოდ იქნება. ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტის თავმოწონება – ტერორიზმს რომ ვებრძვით, ჩეჩნების რუსეთისთვის გადაცემაც ადასტურებს ამ ფაქტსო - შესაძლოა, სულ მალე სხვაგვარად შეფასდეს.

ევროსასამართლოში საქართველოსა და რუსეთის მთავრობათა წარმომადგენლების შემდეგ ჩვენმა გამოსვლამ ევროპელ მოსამართლეებს ნათლად დაანახა, რომ საქართველომ უარი უთხრა დევნილ ადამიანებს, მათ ციხე არგუნა და იმავე ქვეყანაში გაამგზავრა, საიდანაც ისინი გამოიქცნენ. საქართველოსა და რუსეთის მთავრობათა წარმომადგენლებს სიტყვით გამოსვლისას არ უხსენებიათ, რომ საზღვრის გადმოკვეთისთანავე ჩეჩნებმა დახმარება ითხოვეს და იარაღი ჩააბარეს მესაზღვრეებს. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო საქმეს რომ ჩეჩენთა სარჩელის დაკმაყოფილებით დაასრულებს, თითქმის ეჭვი არ გვეპარება, რადგან ამ სასამართლოში, რომელსაც აბსოლუტურად განსხვავებული პროცედურები, რეგლამენტი და წესები გააჩნია, ერთი მუხლის დარღვევის აღმოჩენაც კი საკმარისია იმისთვის, რომ საქმე მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულდეს. ჩეჩენ პატიმართა საქმეში კი დარღვევათა მთელი კასკადია", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სტრასბურგიდან დაბრუნებულმა ჩეჩენთა ინტერესების დამცველმა, არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის " თავმჯდომარემ ლია მუხაშავრიამ. მისივე განმარტებით, ევროსასამართლო საქმეების უმრავლესობას სხდომების გარეშე წყვეტს. ადვოკატის ვარაუდით, ამ შემთხვევაში კი, საქმის სირთულიდან გამომდინარე, "შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ" - საქმის არსებითი განხილვა ევროსასამართლოში სხდომების სახით წარიმართება.

"აღნიშნული პროცესი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ შესაძლოა, ბიძგი მისცეს საქართველოსა და რუსეთში კანონმდებლობის დახვეწას და ადამიანის უფლებების მსგავსი დარღვევების აღმოფხვრას", - ასეთ იმედებს ამყარებენ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოზე არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები, რომლებიც ჩეჩენთა საქმეს ამჯერად უკვე სტრასბურგში ბოლომდე მიიყვანენ.

პოლიცია და ნარკოლოგიური სამსახური - "ხელი ხელს ბანს"

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის წარმომადგენლობამ, რაიონის ნარკოლოგიური კვლევის სამსახურის უფროსი ლია კირვალიძე, აგრეთვე თელავის და ახმეტის რაიონების პოლიციის თანამშრომლები კრიმინალურ ქმედებებში ამხილა. მათი განცხადებით, ნარკოლოგიური სამსახური და პოლიცია, ფულის გამოძალვის მიზნით, ხშირად ერთმანეთთან თანამშრომლობენ. გიორგი ზურაბიშვილი სწორედ ამ გარიგების მსხვერპლი გახდა.

პირველი შემთხვევა არ არის, როცა ძალოვანი უწყების თანამშრომლები, ფულის გამოძალვის მიზნით, ათასგვარ დანაშაულს ჩადიან. ამ საქმეში, როგორც ითქვა, ნარკოლოგიური სამსახურის თანამშრომლებიც ჩაერთვნენ.

30 წლის თელაველი გიორგი ზურაბიშვილი, გარეგნობის გამო, არაერთხელ აღმოჩენილა ძალოვანების სამიზნედ. ბოლოს იგი ახმეტაში, მეგობართან სტუმრობის დროს დააკავა პოლიციამ, როგორც ნარკოტიკების მომხმარებელი. დაზარალებულის თქმით, თავდაპირველად ახმეტის პოლიციის თანამშრომელმა გოგი კულალაშვილმა მას გათავისუფლების სანაცვლოდ 50 ლარი მოსთხოვა. ზურაბაშვილმა კი ამ გარიგებაზე უარი თქვა, რის შემდეგაც პოლიციელისაგან ასეთი მუქარა მიიღო: "გირჩევნია 50 ლარი გადაიხადო, ვიდრე სასამართლო 300 ლარს წაგართმევსო". გიორგი ზურაბიშვილზე არც ამ დაშინებამ გასჭრა. ამის შემდეგ იგი თელავში, ნარკოლოგიური კვლევის სამსახურში გადაიყვანეს. უწყების ხელმძღვანელმა ლია კირვალიძემ კი ოპერატიულობა გამოიჩინა და ზურაბიშვილს ზეპირი დიაგნოზი დაუსვა. მას "ანაშას" მოხმარებაში დასდო ბრალი.

"ჩემი შვილის მიმართ ეს იყო უსაფუძვლო ბრალდება. როგორ შეიძლება ექიმმა, რომელსაც მეტად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, ავადმყოფს გარეგნობის გამო დაუდგინოს დიაგონოზი?! " - გაკვირვებული ამბობს გიორგი ზურაბიშვილის დედა, ქალბატონი მერი, რომელმაც ექიმის მიერ გამოტანილი "განაჩენი" გააპროტესტა და ხელახალი გამოკვლევა მოითხოვა. პასუხი კი შემდგომაც გააყალბა ექიმმა. ამის შემდეგ საქმეში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის წარმომადგენლობაც ჩაერთო: "სინჯარას, რომელშიც ზურაბიშვილის ანალიზი ინახებოდა, ლუქი ახსნილი ჰქონდა. ეტყობოდა, რომ ექიმმა შიგ, ანალიზის გაყალბების მიზნით, უცხო ნივთიერება ჩაასხა,"- გვითხრა ასოციაციის იურისტმა ალექსანდრე შოსიკელაშვილმა.

იურისტთა ასოციაციის ჩარევის შემდეგ, "ეჭვმიტანილის" მამამ, ნოდარ ზურაბიშვილმა ლია კირვალიძეს ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება მოსთხოვა, მაგრამ კირვალიძე მას ემალებოდა. იგი იმ დროს გამოჩნდა, როცა ანალიზის შენახვის ვადა იწურებოდა და სინჯარა გაანადგურა.

ამასობაში საქმეში კიდევ ერთი პოლიციელი ერთვება, რომელიც გიორგი ზურაბიშვილისგან მოითხოვს, რომ გამოკვლევას შეეშვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა: "მე, თელავის პოლიციის ნარკომანიასთან ბრძოლის თანამშრომლის დავით ბერძენიშვილის შეთავაზებულ წინადადებაზე უარი ვთქვი, შედეგად კი ის მივიღე, რომ სამი ადამიანი თავს დამესხა და მცემა", - ამბობს ზურაბიშვილი. დავით ბერძენიშვილი კი, ამ ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს და უქვე იმასაც აცხადებს, რომ ზურაბიშვილი ინტრიგანია და მას არავინ უნდა დაუჯეროს.

ბერძენიშვილის მსგავსად ლია კირვალიძეც პროვოკაციას უწოდებს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს: " არანაირი საფუძველი არ გააჩნია იურისტთა ასოციაციას და გიორგი ზურაბიშვილს, რომ მე ასეთი ცილი დამწამონ. დიაგნოზი მე კი არა, ჩემმა თანამრომელმა დაუდგინა," - ამბობს კირვალიძე და დასძენს, რომ ზურაბიშვილმ იმ დროს მოითხოვა ალტერნატიული ექსპერტიზა, როცა ანალიზს შენახვის ვადა გასდიოდა.

ამჟამად ზურაბიშვილების ოჯახის წევრები საჩივარის შეტანას უზენაეს სასამართლოში აპირებს.

24 საათი

„ემმას" კაპიტანმა ფოთის სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისში გაასაჩივრა

ფოთის აკვატორიაში დაკავებული თურქული ტანკერის "ემმას" კაპიტანმა ისმაილ დენიზმა ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა ფოთის საქალაქო სასამართლოს 15 სექტემბრის გადაწყვეტილება ჯარიმის - 250 ათასი ლარის გადახდის შესახებ.

ჯარიმა გემის მფლობელებს ქართულმა მხარემ საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისა და ნაოსნობის წესების დარღვევის გამო დააკისრა.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ფოთის სამმართველოს უფროსის კობა ბოჭორიშვილის განცხადებით, ქუთაისის საოლქო სასამართლოდან უკვე მიიღეს წერილი გემის დაკავებასთან დაკავშირებული მასალების გადაგზავნის მოთხოვნით. პროცესის გამართვის დღე ჯერ დადგენილი არ არის.

ტანკერი "ემმა" საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ფოთის სამმართველოს თანამშრომლებმა 17 აგვისტოს, მას შემდეგ დააკავეს, რაც ტანკერის ეკიპაჟი კავშირზე არ გამოვიდა.

მისი შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ გემი ორმაგი საბუთებით მოძრაობდა.

იგი თურქეთის ერთ-ერთი პორტიდან ამ ქვეყნის დროშითა და სხვა სახელწოდებით - "კაპიტან ერენით" გამოვიდა, ზღვაში კი კაპიტანმა დროშაც შეცვალა და სახელწოდებაც, რაც 1982 წლის საერთაშორისო კონვენციით აკრძალულია.

თუ თურქი კაპიტნის სარჩელს ქუთაისის საოლქო სასამართლო არ დააკმაყოფილებს, მაშინ მას 250 ათასი ლარის გადახდა მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში ტანკერი "ემმა" აუქციონზე გაიყიდება. **მედია-ნიუსი**

ბალავაძის მიერ ორგანიზებულ გატაცებათა სერიალი გრძელდება

სასჯელაღსრულების დაწესებულების "5 საპყრობილეში მყოფი, საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილი გიგა ბლავაძე, რომელსაც ამჟამად ბანდიტური ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის, ყაჩაღობისა და ადამიანის გატაცებებისთვის ასამართლებენ, გუშინ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა. სამაგიეროდ, გუშინვე მის სახელს კიდევ ერთი გატაცება დაუკავშირდა.

თამარ კაციტაძე

როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, ბალავაძის მიერ გატაცებულთა სიაში, ძირითადად, მისი ახლობლები და მეგობრები არიან. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ბალავაძის დავალებით (ფულის გამოძალვის მიზნით) გაიტაცეს მეგობრის ცოლ-შვილი, ხოლო 28 აგვისტოს - კაპანაძე. ორივე შემთხვევაში გამტაცებლებმა ფულის შემკვეთამდე მიტანა ვერ შეძლეს, რადგან პირველ შემთხვევაში მძევლები პოლიციელებმა გაათავისუფლეს, კაპანაძემ კი გამოპარვა მოახერხა.

გუშინ კი გიგა ბალავაძის მიერ ორგანიზებული კიდევ ერთი გატაცება გახმაურდა. სამართალდამცველთა მტკიცებით, 20 სექტემბერს ბალავაძის შეკვეთით გაიტაცეს თემურ გეწაძე და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ნარკომანიის განყოფილების თანამშრომელი ნოდარ ჩაგუნავა.

თემურ გეწაძის თქმით, გიგა ბალავაძე მან იმ დროს გაიცნო, როდესაც იგი ციხის საავადმყოფოში მეგობრის სანახავად მივიდა. რამდენიმე დღის წინ კი ბალავაძეს გეწაძისთვის დაურეკავს და უთხოვია, თემქაზე ჩემს მეგობარს შეხვდი, რაღაცას გამოგატანს და საპყრობილეში მომიტანეო. გეწაძის მტკიცებით, ბალავაძის მეგობარს მისთვის თანხა უნდა გადაეცა (ერთი ვერსიით, ბალავაძისთვის ნარკოტიკი უნდა შეეტანათ).

"გზის ფული არ მქონდა, ამიტომ ჩემს მეგობარს - ნოდარ ჩაგუნავას ვთხოვე თემქაზე გაყვანა. დათქმულ ადგილზე მართლაც დამხვდა ბალავაძის მიერ აღწერილი პიროვნება, რომელმაც მთხოვა სახლში ავყოლოდი. მანამდე მას არ შევხვედრივარ. ბინაში რომ ავედით, იქ მეორე ბიჭიც დაგვხვდა. ჯერ მცემეს, შემდეგ პირი ამიკრეს, გამკოჭეს და სკამზე დამაბეს," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში თემურ გეწაძემ, რომელსაც სახესა და სხეულზე უამრავი დაზიანება აქვს.

ამის შემდეგ ბალავაძის ერთ-ერთი მეგობარი ქვევით ჩასულა.

"უცნობი მომიახლოვდა და მითხრა, შენი მეგობარი ცუდად გახდა, წამოდი, იქნებ სასწრაფო დახმარება გამოვიძახოთო. მეც გავყევი. ბინაში შესვლისთანავე ერთ-ერთი თავდამსხმელი მომეპარა და რაღაც დამარტყა. თითქმის თხუთმეტი წუთის განმავლობაში წინააღმდეგობას ვუწევდი, მერე კი მეც გამკოჭეს და დამაბეს", – გვითხრა ნოდარ ჩაგუნავამ.

დაზარალებულთა თქმით, თავდამსხმელები გეწაძის მეუღლეს დაუკავშირდნენ და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 50 ათასი დოლარი ითხოვეს.

"გამტაცებლები ორი დღის განმავლობაში მიკავშირდებოდნენ და 50 ათასი დოლარს მთხოვდნენ. ამდენი ფული ერთად არც მინახავს, საიდან უნდა მიმეტანა, ბოლოს 18 ათას დოლარამდე ჩამოვიდნენ, მაგრამ დასახელებული თანხაც არ მქონდა," – გვითხრა გეწაძის მეუღლემ, რომელმაც გამტაცებელთა საუბრის აუდიოკასეტაზე ჩაწერა მოახერხა.

სამართალდამცველთა მტკიცებით, გამტაცებლებმა ბალავაძეს მეგობრის - ლარისა წითლანაძის მეშვეობით საპყრობილეში ჩაგუნავას მობილური ტელეფონი შეუგზავნეს. გატაცების ორგანიზატორმა პოლიციელის მობილურში საკუთარი სიმბარათი ჩადო და თანხის გამოძალვაზე ინსტრუქციებს ასე იძლეოდა.

ორდღიანი მძევლობის შემდეგ ჩაგუნავა და გეწაძე გაათავისუფლეს. გათავისუფლების დეტალებზე სამართალდამცველები არ საუბრობენ. თავად ჩაგუნავა კი გვიყვება: **"გამტაცებლები უცბად გაიქცნენ. თან წაიღეს ჩემი საბუთები და ტაბელური იარაღი. როგორც მოგვიანებით გავიგე, ჩემი მანქანაც გაიტაცეს. მე კბილებით მოვახერხე ფეხების გათავისუფლება. მეზობლის კარზე თავით დავაბრახუნე და მათ გაგვათავისუფლეს".**

სამართალდამცველთა თქმით, აღნიშნულ გატაცებაში მონაწილეობდა იგივე ჯგუფი, რომელმაც აგვისტოში კაპანაძე გაიტაცა. ერთ-ერთის ვინაობა ცნობილია, მაგრამ მან ამჟამადაც მოახერხა მიმალვა. ცოტა ხნის წინ ის ბინა, სადაც მძევლები ჰყავდათ, სწორედ აღნიშნულმა გამტაცებელმა დაიქირავა მეგობარ გოგონასთან ერთად.

მართალია, უზენაეს სასამართლოში ბალავაძის ძველ საქმეებზე პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ, პარალელურად, მის ახალ საქმეებს გენერალური პროკურატურა იძიებს. სავარაუდოდ, აღნიშნული გატაცების საქმეც მალე გენპროკურატურაში გადაინაცვლებს და სხვა დეტალებს გამოძიება გაშიფრავს.

რატომ იხდიან უფასო აცრაში 40 ლარს

სამშობიაროში ჩატარებული ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრის შემდეგ პატარებს მომდევნო აცრა 2 თვის ასაკში უწევთ. დიფტერიის, ყივანახველის, ტეტანუსის, პოლიომელიტისა და B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება - ანუ პაციენტისთვის მისი ჩატარება ნებიემიერ პოლიკლინიკაში უფასოა. თუმცა, ზოგიერთი ექიმის ხრიკების წყალობით, ხშირად მშობლებს ეს აცრა 40 ლარი უჯდებათ.

ნანა ქადაგიშვილი

საქართველოში დიფტერიის, ყივანახველის, ტეტანუსის, პოლიომელიტისა და B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრისთვის ორგვარი წარმოების ვაქცინა შემოდის, ინდური და ფრანგული. ინდურს სახელმწიფო ყიდულობს და პოლიკლინიკებს ამარაგებს, ფრანგული კი კომერციული გზით შემოაქვთ და ბავშვის ამ ვაქცინით აცრა, ბუნებრივია, ფასიანია. პოლიკლინიკების ექიმები, რომელთაც ორივე ვაქცინა აქვთ, პაციენტის მშობლებს ბავშვის ფრანგული ვაქცინით აცრას ურჩევენ, - ინდური ვაქცინა გართულებებს იწვევსო. ასეთი განმარტების შემდეგ მშობელი, ბუნებრივია, ფრანგულ ვაქცინას არჩევს და 40 ლარის გადახდას არ დაეძებს. აღნიშნული აცრა 3-4 თვის ასაკშიც მეორდება. ასე რომ, მშობელს შვილის დიფტერიის, ყივანახველის, ტეტანუსის, პოლიომელიტისა და B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა საბოლოოდ 120 ლარი უჯდება. არადა, გამოცდილ პედიატრებს თუ დავუჯერებთ, ინდურ და ფრანგულ ვაქცინას შორის არავითარი განსხვავება არ ყოფილა. **"ნებისმიერი წარმოების ვაქცინას აქვს ნიშანი MGP, რაც ნიშნავს, რომ ვაქცინა ვარგისია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დიფტერიის, ყივანახველის, ტეტანუსის, პოილიომელიტისა და B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ორივე ვაქცინის, ინდურისაც და ფრანგულისაც, ეფექტი და რეაქცია აბსოლუტურად იდენტურია. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანით აცრას გართულება მოჰყოლოდა. შეგახსენებთ, რომ აცრის შემდეგ ტემპერატურის მომატება გართულება არ გახლავთ. ეს ბუნებრივი, ჯანმრთელი რეაქციაა, რაც შეიძლება როგორც ინდური, ასევე, ფრანგული ვაქცინით აცრას მოჰყვეს. არის ბავშვთა კატეგორია, რომელიც ტემპერატურულ რეაქციას ვერ იტანს და კრუნჩხვებში ვარდება. ეს უკვე ვაქცინის წარმოების ბრალი არ არის. ამ შემთხვევაში ქართული მენტალიტეტი მოქმედებს, ფრანგული ვაქცინა ინდურზე უკეთესი იქნებაო, - ფიქრობს ხალხი. უბრალოდ, ექიმებს ხელს აძლევთ, რომ პაციენტს ძვირი გადაახდევინონ და ფრანგულ ვაქცინას ამიტომაც ურჩევენ,"** - აცხადებს სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, პედიატრი ქეთი ნემსაძე.

გამოვკითხეთ რამდენიმე მშობელიც, რომელთაც შვილი ინდური ვაქცინით აცრეს. უკმაყოფილება არც ერთ მათგანს გამოუთქვამს. **"ჩემი ბავშვი ინდური ვაქცინით აცრეს, მაგრამ სიცხეც კი არ მიუცია. აცრამდე სამი დღით ადრე ექიმმა სუპრასტინი დაუნიშნა და ბავშვმა აცრა მშვენივრად გადაიტანა,"** – გვითხრა ერთ-ერთმა მშობელმა.

ასე რომ, თუკი ბევრი ფული არ გაქვთ, ისარგებლეთ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით და ჭორებს ნუ აჰყვებით.

ტექბიურომ პროცესი წააგო

19 სექტემბერს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციამ, რომელიც მოქალაქე ნათელა ხოხობაშვილის ინტერესებს იცავდა, თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურს სასამართლო პროცესი მოუგო.

მიმდინარე წელს ნ. ხოხობაშვილმა მიმართა თბილისის ტენიკური აღრიცხვის სამსახურს საინვენტარიზაციო გეგმის გაცემის თაობაზე, კუთვნილი ქონების საჯარო რეესტრში გატარების მიზნით. გეგმაზე 582 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირებული იყო 71 კვ.მ-ით ნაკლები მიწის ფართობი, რაც ტექაღრიცხვის სამსახურს რამდენიმე წლის წინ უნდა აღერიცხა. გაირკვა, რომ თავის დროზე სამსახურს ცვლილებები არ შეუტანია შესაბამის დოკუმენტაციაში, რის გამოც ვერ გასცემენ საინვენტარიზაციო გეგმას იმ ფართის ოდენობით, რაც სინამდვილეში ხოხობაშვილს ეკუთვნის. სასამართლო პროცესზე მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციამ მოითხოვა ტექსამსახურის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი საქმის გადახედვა; გაირკვა, რომ ტექსამსახურს გასულ წლებში გაცემული აქვს ცნობა-დახასიათება, რომელიც გვამცნობს: "ხოხობაშვილის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთის ფართი შეადგენს 582 კვ.მ". შედეგად - თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის დირექტორის ჯაბა ებანოიძის შეფასებით, "მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების სირთულე განპირობებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზებითა და მთელი რიგი სამსახურების არაკეთილსინდისიერებით."

ნათქვამი

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

და იყვნენ ულაყები

ტაიჭი გამოყვერულსა ცხენსა ჰქვია
სულხან-საბა ორბელიანი

ჯერ კიდევ ოფლიანები იყვნენ და თავლის წინ ვასეირნებდით. უცებ, არ ვიცი, რა მოელანდა, ალერი დაჭიდა, ყალყზე შედგა და დაიჭიხვინა.

ან, ასე დამფრთხალი თუ რაღაცაზე გულმოსული კიდევ უფრო ლამაზი იყო – შუბლზე ნიორი, წინა ფეხებზე წინდები, მშრალი, კოხტა თავი. ქედში 165 სანტიმეტრი მაინც იქნებოდა. სულ მამამისს ჰგავდა.

დოლები კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა, ასე რომ, შემთხვევიდან შემთხვევამდე გასეირნებას თუ არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, უსაქმოდ იყო. მამამისს დერბი და კიდევ სამი თუ ოთხი პრიზი ჰქონდა მოგებული. როგორც ყველაზე სახელიანი და ჯიშის საუკეთესო წარმომადგენელი, მწარმოებლად დაიტოვეს ცხენსაშენში.

გაზაფხული იდგა, ახურების პერიოდი იყო და, ფაშატებზე ხომ არ ინეცებოდა...

გაეცინა.

- ვეღარ ინეცებს. წინა კვირას დააკოდეს. ნამეტანი მოუსვენარი იყო.

ისევ დაიჭიხვინა.

- პირველ ხანებში ეგრე იციან. ჭიხვინებენ, ინეცებიან. ჰგონიათ, ყველაფერი ძველებურად არის. მალე ეგეც დაავიწყდება.

[illegible] ცხოვრებაა. ის ჭიხვინი კი ისევ ჩამესმის. საყვედურივით.

* * *

სულ მაღიზიანებდა გამოთქმა – "ხალხი ყოველთვის მართალია". ჯერ ერთი, ყოველთვის არ არის მართალი და, მეორეც, გაღიზიანებას სწორედ სიტყვა "ხალხი" იწვევს, რომელშიც ერთბაშად იგულისხმება ყველა – ნიჭიერიც და უნიჭოც, ნესიერიც და უწესოც, ერთგულიც და მოღალატეც, ჭკვიანიც და უჭკუოც [illegible].

[illegible]

რომ იცოდე, როგორ მეზიზღები!

საქართველო გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე

პირველი გვერდიდან

ამ ვითარებაში დროს არ კარგავს "გაზპრომი". მას 30-პროცენტიანი წილი აქვს მსოფლიოში სიდიდით მეორე – ირანის "სამხრეთ ფარსის" საბადოზე, რომელსაც მასთან ერთად აითვისებენ "ტოტალფაინა" და ირანის სახელმწიფო კომპანია, როგორც კი ირანს სანქციები მოეხსნება. ამავე საბადოს სხვა ფორმაციას აითვისებს "სტატოილი", რომელიც სამხრეთ კავკასიის ("შაჰდენიზის") მილსადენის პროექტის მონაწილეა და, ამდენად, მოპოვებული გაზის ტრანსპორტირების პრობლემა არ ექნება – მას აზერბაიჯანის გავლით ერზრუმში გადატვირთავს. სამაგიეროდ, ტრასის გარეშე დარჩება "გაზპრომი", თუ მან დღესვე არ იზრუნა გაზის ტრანსპორტირების სამომავლო მარშრუტზე.

მომავალში "გაზპრომი" დსთ-ს მასშტაბით ცდილობს კარტელის ტიპის საწარმოთა ქსელის ჩამოყალიბებას (გაზის ტრასების კონტროლის მიზნით). ამაზე უკრაინასთან, ბელორუსთან, უზბეკეთთან, ყაზახეთსა და თურქმენეთთან გააქტიურებული მოლაპარაკებებიც მეტყველებს. რუსული ენერგოგიგანტი, რომელსაც მსოფლიოში უდიდესი გაზის რეზერვები აქვს, რუსეთის საბადოების ათვისებისთვის ინვესტიციებს არ ხარჯავს. სამაგიეროდ, მისი ბოლოდროინდელი პოლიტიკა მოწმობს, რომ მას მთელი ყურადღება მიმართული აქვს აღმოსავლეთის გაზის საბადოებისა და გაზის ტრანსპორტირების ახალი მარშრუტებისკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "გაზპრომის" ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ხმაურიანი პროექტი - "ბლუსტრიმი", რომელიც შავი ზღვის ფსკერზე მილსადენის გაყვანას და ამ გზით ციმბირის გაზის თურქეთში ტრანსპორტირებას გულისხმობს, ჩაშლის პირასაა. თურქეთში ამ პროექტს უარყოფითად აფასებენ და დღეს იმ ჩინოვნიკების პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება, ვინც თავის დროზე "გაზპრომთან" ამ პროექტის თაობაზე სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. პროექტის უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ შავი ზღვის ფსკერზე მილების ჩაყრა ძალიან ძვირი ჯდება. ძვირია გაზსადენის ექსპლუატაციაც. ამდენად, "გაზპრომისთვის" ეს პროექტი რენტაბელური ვერ იქნება, თუ თურქეთის ბაზარზე გაზის ფასი შაჰდენიზის პროექტმა დააგდო. ამის გამო "გაზპრომისთვის" უახლოეს მომავალში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ბაქო-თბილისი-ერზრუმის ალტერნატიული ტრასის კონტროლი. მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებას გაზის რუსული გიგანტისთვის სხვა დატვირთვაც აქვს.

ვახო ხაინდრავას ფოტო
ექსპერტი ლიანა ჯერვალიძე

"გაზპრომისათვის" სასურველია, რომ ეს ტრასა მისი გავლენის სფეროში უკვე უახლოეს მომავალში მოექცეს, რადგან 12-15 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდების თაობაზე ირანის მოლაპარაკებები უკრაინასთან უკვე დასრულებულია, ხოლო ევროკავშირთან საუბარი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. თუ დიალოგი წარმატებულად დასრულდება, ირანი ევროპას 80-100 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მიაწვდის. ამ მოცულობის გაზის ტრანსპორტირებისათვის "გაზპრომისათვის" ყველაზე უმოკლესი და ხელსაყრელი გზა სომხეთ-საქართველოზე გამავალი მარშრუტია, რომლის საშუალებითაც ენერგოგიგანტი ირანული გაზის საკუთარ მილსადენში შეშვებას შეძლებს.

სომხეთის მაგისტრალური გაზსადენი უკვე "გაზპრომის" გავლენის სფეროშია მოქცეული. უახლოეს მომავალში დასრულდება ირანი-სომხეთის მილსადენის მშენებლობა, რომელშიც "გაზპრომი" თავად მონაწილეობს. საქართველოსთან 25-წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულებაც, გაზის რუსულ გიგანტს, ფაქტობრივად, ჯიბეში უდევს. შესაბამისად, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მილსადენის რევერსირებით, ანუ მასში გაზის არა რუსეთიდან სომხეთისაკენ, არამედ ირანიდან სომხეთის გავლით რუსეთისაკენ ტრანსპორტირება იყო ის უმთავრესი მიზანი, რის გამოც "გაზპრომმა" საქართველოს მაგისტრალური მილსადენების მიმართ ასეთი დიდი დაინტერესება გამოავლინა და უახლოეს მომავალში მათ "რეკონსტრუქცია-გაფართოებასაც" გეგმავს.

ისმის კითხვა: რა სარგებლობას მოუტანს "გაზპრომის" გრანდიოზული გეგმები საქართველოს? როგორც "პი-ეს-აი ჯორჯიას" ექსპერტი ლიანა ჯერვალიძე ვარაუდობს, დიდს - არაფერს, რადგან მთავრობის მიერ "გაზპრომთან" ხელმოწერილი დოკუმენტი რუსულ ენერგოგიგანტს ქვეყნის გაზსადენებზე შეუზღუდავ ძალაუფლებას ანიჭებს.

დაბოლოს, ყველას კარგად გვახსოვს, თუ რამდენი ხნით ადრე დაიწყო საუბარი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის თაობაზე. "საუკუნის პროექტებად" მონათლული ეს პროექტები, ფაქტობრივად, ამ 10-12 წლის წინ საქართველოს დამოუკიდებლობის ქვაკუთხედად იქცა. ლოგიკა მარტივია – ამ პროექტებმა შეცვალეს გეოპოლიტიკა და საქართველო დასავლეთის სტრატეგიულ პარტნიორად აქციეს.

ამ ეტაპზე "გაზპრომი" თავის სამომავლო გეგმებზე არ საუბრობს, თუმცა მოცულობით, მნიშვნელობითა და ეკონომიკური სიკეთით ეს პროექტი "საუკუნის პროექტებს" არ ჩამოუვარდება. თუმცა.... არის ერთი "მაგრამ": **"ის გეოპოლიტიკას ხელახლა ცვლის და საქართველოს რუსეთის ინტერესების სფეროში აბრუნებს,"** – მიიჩნევს ექსპერტი გია ხუხაშვილი.

ასეა თუ ისე, "გაზპრომში" ირანულ გაზზე საუბარს დღეს საერთოდ ერიდებიან; საქართველოს მიმართ თავის დაინტერესებას კი "კომერციულ ინტერესად" ნათლავენ, რაც, რბილად რომ ვთქვათ, გამორიცხულია: გაზის ის რაოდენობა, რომელსაც საქართველო და სომხეთი ერთად მოიხმარენ, "გაზპრომის" ტექნიკური დანაკარგის 5 პროცენტს შეადგენს. შემთხვევითი არ უნდა იყოს "გაზპრომის" "კომერციული" განწყობა საქართველოს მოსახლეობის მიმართაც: **"ჩვენ დღეს არ გვაინტერესებს დისტრიბუცია – გაზს მხოლოდ მათ მივცემთ, ვინც გადაიხდის,"** – არ მალავენ "გაზპრომში".

"გაზპრომის" სამომავლო გრანდიოზული პროექტების შესახებ არ საუბრობენ არც საქართველოს მთავრობაში და მათ "არარეალურს" უწოდებენ. ეს მაშინ, როცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი ამ ათი წლის წინ გაცილებით უფრო არარეალურად გამოიყურებოდა, ვიდრე დღეს ირანული გაზის ევროპისაკენ საქართველოს გავლით ტრანსპორტირების იდეა.

სამაგიეროდ, ის, რაზეც არ საუბრობენ ხმამაღლა, კეთდება ჩუმად. შემთხვევითი როდია, რომ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის გაზის სექტორში გამოცოცხლება შეინიშნება: გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე "გაზპრომის" ნავში ჩაჯდომას ბევრი ჩინოვნიკი ცდილობს.

ზღვარზე

მთავრობის არაკომპეტენტურობა + კლიმატური შოკები = სიღარიბე

არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მოსახლეობა მილიონერ ღარიბებად აქცია

მმართველობის რესურსების გამოუყენებლობა, გამოუცდელობა, არასწორი და სუსტი ხელმძღვანელობა, არაფორმალური შემოსავლები, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად განხორციელებული ობიექტური მოვლენები: არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა, ბაზრების დაკარგვა, ქვეყანაში არსებული საომარი მდგომარეობა, მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია, ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარება, არაფორმალური შემოსავლების სიჭარბე, შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება, ფინანსური რესურსების არამიზნობრივი ხარჯვა, კლიმატური შოკები და სხვა - ეს იმ მიზეზების მცირე ჩამონათვალია, რამაც პირდაპირი თუ ირიბი გავლენა მოახდინა საქართველოში სიღარიბის ხვედრითი წილის ზრდაზე და, გარკვეულწილად, ახლაც ხელს უწყობს სიღარიბის პროცენტული მაჩვენებლის სტაბილურობას.

სოფიკო ოხანაშვილი

(ნაწილი პირველი)

სიღარიბის გამომწვევ ეკონომიკურ მიზეზებზე საუბრისას ექსპერტები საქართველოს ისტორიის უკანასკნელ 12 წელს სამ ეტაპად ჰყოფენ: 1991-1994, 1995-1997, 1998-დღემდე. 1991-1994 წლებში ქვეყანაში მასიური გაღარიბება დაიწყო. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, 1994 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა საქართველოში მცხოვრებ ოჯახთა 80 პროცენტი, 1995 წელს სიტუაციის შედარებით დასტაბილურების შედეგად მათი რიცხვი 60 პროცენტამდე შემცირდა, 1996 წელს ოფიციალური საარსებო მინიმუმის ქვემოთ მყოფი ოჯახების რიცხვმა 50 პროცენტი შეადგინა, 1997 წელს ღარიბ ოჯახთა რიცხვმა 44 პროცენტამდე იკლო. 1998 წლიდან ქვეყანაში ეს მაჩვენებელი [illegible]

1991-1994 წლებში მოსახლეობის მასიური გაღარიბება დაიწყო

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავშირის წევრმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად ბევრი ეკონომიკური ბერკეტი დაკარგეს. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები მხოლოდ საკუთარი ბაზრის ანაბარა აღმოჩნდნენ. წლების განმავლობაში მოშლილი იყო ეკონომიკური კავშირები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან. ამასთან, საქართველოს მოუხდა სამოქალაქო ომისა და სხვა შიდა ომების გადახდა. ეკონომიკის ზრდის დაცემის ტემპი, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალი საქართველოში იყო. აქ მოქმედი საწარმოების დახურვამ ათასობით ადამიანი დატოვა ქუჩაში. ამას დაემატა კრიზისების რიგი სოფლის მეურნეობაში, კლიმატური შოკები. შექმნილი მდგომარეობა, პირველ ყოვლისა, მოსახლეობის ჯიბეზე აისახა. **"მოსახლეობას ჰქონდა ანაზრები რუსული ვალუტით. საკამათო შეიქმნა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი [illegible]"**, - [illegible]

[illegible] ბას უკავშირდება. ექსპერტების მტკიცებით, კუპონი, ფაქტობრივად, ცარიელ ნიადაგზე შემოვიდა, ამიტომ ის თავიდანვე განწირული იყო ინფლაციისათვის. ამას, ნაწილობრივ, იმ დროს დაშვებულმა სუბიექტურმა შეცდომებმაც შეუწყო ხელი. **"ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი დაუფიქრებლად ამბობდა, რომ ეს არის დროებითი ვალუტა. როდესაც მოსახლეობამ იცის, რომ ეს არის დროებითი ფული, ის არ ცდილობს მის დაგროვებას, რითიც უფრო მეტად აგდებს ფულის კურსს. ეს დარტყმა მიიღო კუპონმა. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენი მთავრობა მსუბუქ საკრედიტო პოლიტიკას აწარმოებდა - ხდებოდა კრედიტის გაცემა კუპონით, მისი მაშინვე დოლარად გადახურდავება და უკვე გაცვეთილი კურსით უკან დაბრუნება. ამან დიდი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას"**, - განმარტავს თოქმაზიშვილი.

ექსპერტების მტკიცებით, კუპონის გაუფასურებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული ბანკის ფუნქციის გუაზრებლობამ და კომერციული ბანკების სისუსტეებმ. **"1994 წელს შავ ბაზარზე ერთი დოლარი ხუთ მილიონ კუპონს აღემატებოდა. კუპონი არავის უნდოდა, მხოლოდ პურის ყიდვა და მხოლოდ კომუნალური მომსახურების გადახდა თუ შეიძლებოდა. ბუნებრივია, ამან მოსახლეობა გააღატაკა. 1994 წელს საქართველოში [illegible]** [illegible]

რმოების მოცულობის შემცირებას, ცხინვალსა და აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებებიც დაემატა. ყველაფერმა ერთად კი კატასტროფულად მძიმე და რთულ მდგომარეობაში ჩააგდო მოსახლეობა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ეკონომიკის აღმავლობაზე საუბარი წარმოუდგენელი იყო. ლადო პაპავას განმარტებით, მოსახლეობა აბსოლუტური განადგურებისაგან საკუთარმა დანაზოგებმა გადაარჩინა: **"ადამიანები გადიოდნენ ბაზრობებზე და ყიდდნენ წიგნებს, ძვირფას ჭურჭელს, ბინებს და გადადიოდნენ უარეს ბინებში. საბოლოო ჯამში ყოველივე ამან შექმნა ძალიან ცუდი ფონი, რამაც საქართველოში მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა გააუარესა."**

1994-98 წლებში პენსიები 10 ცენტიდან შვიდ დოლარამდე გაიზარდა

ამ პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლი - 11 პროცენტი. მთავრობამ მეტნაკლებად დაიწყო ინსტიტუტების ფორმირება, ამუშავდა რამდენიმე საწარმოც, გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები, რაც ხელფასებისა და პენსიების გაზრდის რესურსი გახდა. პენსიის ოდენობა მაშინ ათი ცენტიდან შვიდ დოლარამდე გაიზარდა. ამას დაემატა დისციპლინის ელემენტებ[illegible] საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. განხორციელდა არაერთი საინვესტიციო პროექტი. ქვეყანაში განხორციელდა ფართომასშტაბიანი პრივატიზება. გარკვეულწილად, დარეგულირდა ურთიერთობა რუსეთთან. ქვეყანაში შემოვიდა თურქული კაპიტალი.

ეკონომიკურ აღმასვლას სხვადასხვაგვარად ხსნიან ექსპერტები. პაპავას შეფასებით, ყოველივე ეს მთავრობის მიერ სწორად არჩეულმა და წარმართულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ განაპირობა, რაც, პირველ რიგში, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკითა და, ამის ფონზე, ფასების ლიბერალიზაციით გამოიხატა. საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლის მიხეილ თოქმაზიშვილის შეფასებით, აღმასვლა ყველაფრის ნულიდან დაწყებამ გამოიწვია: **"ომი დამთავრდა, არც ერთი საწარმო არ მუშაობს და უცებ რამდენიმე საწარმო ამუშავდა. ნულოვანი ეკონომიკის პირობებში ეს რამდენიმე საწარმო მასშტაბურ ზრდას აჩვენებს, მაგრამ, როდესაც იგი დიდ ციფრებში გადადის, ზრდის ტემპივარდება - ყოველი ახალი საწარმოს ამუშავებას უფრო მეტი მასშტაბი სჭირდება, ვიდრე პირველ ეტაპზე - ერთი საწარმოს ამოქმედებას."**

1998 წლიდან საქართველოში ეკონომიკური კრიზისების ხანა დაიწყო

მმართველობის გაუარესებამ, ქვეყნის პრეზიდენტზე განხორციელებულმა ტერაქტებმა, გალში განვითარებულმა მოვლენებმა დააფრთხო უცხოელი ინვესტორები და გააუარესა საინვესტიციო გარემო. ამას დაემატა საბიუჯეტო კრიზისი და რუსეთის დეფოლტი, რამაც საბოლოოდ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს ეკონომიკა. 1999 წელი ბიუჯეტის 300-მილიონიანი გარღვევით დასრულდა. ეკონომიკური ზრდის ტემპი მაშინ 1,9 პროცენტამდე შემცირდა. ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად პაპავა ეკონომიკის ზედმეტ პოლიტიზირებას ასახელებს, რაც მთავრობში "საეჭვო წარმომავლობის ხალხის" მოსვლამ განაპირობა. ამასთან, ამ პერიოდში გაიზარდა კონტრაბანდის ხვედრითი წილი. ლეგალური შემოსავლების შემცირების პარალელურად იზრდებოდა არალეგალური შემოსავლები.

"არაფორმალურმა ეკონომიკამ, შეიძლება, კონკრეტული პრობლემა გადაწყვიტოს, მაგრამ ვერასდროს იქნება მიზნობრივი. ის განვითარების მტერია, ყველა სისტემის მტერი. ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ მათი ფინანსური პრობლემის ამგვარი, სადღეისო და მოკლევადიდან აღმოფხვრა სახვალიოდ მათ ისევ სიღარიბეში ტოვებთ," - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის" ექსპერტი დევი ხეჩინაშვილი.

პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/ Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

ADC სასწავლო-საინფორმაციო სტუდია მოზარდებისათვის

საგაზეთო სტუდია "ეი-დი-სი" განათლების სამინისტროსთან ერთად აცხადებს კონკურსს, საუკეთესო 1-წუთიანი ვიდეოფილმებისა და საგაზეთო სტატიების გამოსავლენად თემაზე: "ახალგაზრდობა და მშვიდობა"

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ 12-22 წლამდე ასაკის მოზარდ-ახალგაზრდობას.
- ნაშრომი სრულდება მხოლოდ ქართულ ენაზე.
- სცენარი არ უნდა აღემატებოდეს 1 თაბახის ფურცელს, ხოლო საგაზეთო სტატია - 2 თაბახს. სტატიები შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ხელნაწერი.
- შერჩეული 40 საუკეთესო კონკურსანტი მოწვეული იქნება სტუდიაში "ეი-დი-სი", სადაც მათ მიეცემა შესაძლებლობა სპეციალისტების დახმარებით თავისი სცენარის მიხედვით გადაიღონ ერთწუთიანი ვიდეოფილმი.
- 40 ფილმიდან 10 საუკეთესო ვიდეოფილმი გაიგზავნება ჰოლანდიის საერთაშორისო კონკურსზე.
- 10 ფილმიდან სამი და 20 საუკეთესო საგაზეთო სტატიიდან ხუთი ავტორი დაჯილდოვდება განსაკუთრებული ფულადი პრიზით.

საქართველოს რეგიონებში ნაშრომები წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილობრივი განათლების განყოფილების, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლის მიერ, განათლების სამინისტრო აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებაში.
თბილისში ნაშრომების მიღება იწარმოებს სტუდია "ეი-დი-სი".
ნაშრომების მიღება იწარმოებს არაუგვიანეს ა.წ. 5 ოქტომბრისა.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით სტუდია "ეი-დი-სი":
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 76 ბ. "ბავშვთა ფედერაცია". ტელ: 30 49 56, (899) 536797, (899) 571579

პრეზიდენტი და "დათვები"

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთის პრეზიდენტმა პრესისათვის მიცემული პირობა დაარღვია. თუ გახსოვთ, კრემლში 700 ჟურნალისტის წინაშე მან საზეიმოდ განაცხადა, რომ არ შევიდოდა არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში და, აქედან გამომდინარე, არც ერთს არ მიანიჭებდა უპირატესობას. ხალხმა და ჟურნალისტებმა თითქოს დაიჯერეს, რომ ვლადიმირ პუტინი ბოლომდე ზეპარტიული ფიგურა დარჩებოდა და შორიდან ადევნებდა თვალს საპარლამენტო მარათონს. რა მოხდა, ვერ მოითმინა თუ "დათვებმა" მაინც თავისი გაიტანეს?

"დათვებში" იგულისხმება პრეზიდენტის მომხრე პოლიტიკური პარტია "ერთიანი რუსეთის" ფედერალური სიის ოთხეული: ბორის გრიზლოვი, იური ლუჟკოვი, სერგეი შოიგუ და მენტიმირ შაიმიევი. კულუალური ინფორმაციით, პარტიის ნიუსმეიკერები და პიარჯგუფი წარმატებით იზიდავს თავის რიგებში რუსეთის ცნობილ ადამიანებს. უმსხვილესი პოლიტიკური მონსტრი "ერთიანი რუსეთი" ავტორიტეტული პიროვნებების გაერთიანებად და მომავალი ავტორიტარიზმის იდეების პოპულარიზატორად იქცა. პარტიაში ერთიანდებიან ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან, მაგალითად ბალერინა ვოლოჩკოვა და ტელეწამყვანი სოროკინა. თუმცა, ამ უკანასკნელის გაპარტიულებას, ჯერჯერობით, თავად ტელეწამყვანი არ ადასტურებს, მაგრამ მოსკოველი ჟურნალისტები საპირისპიროს ამტკიცებენ.

პარტიის ყრილობის წინ "დათვების" მადა და ოპტიმიზმი, როგორც ჩანს, პრეზიდენტ პუტინსაც გადაედო და მოსკოვში დიდი ხნის არყოფნის შემდეგ იალტიდან პირდაპირ "ერთიანი რუსეთის" ყრილობაზე ამოჰყო თავი. მერედა, როგორი მომხიბლავი სიტყვები უთხრა თანაპარტიელებს პრეზიდენტმა: რუსეთში დემოკრატიის ზეიმსა და სიტყვის თავისუფლებაზე, ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდასა და დემოკრატიული პრეინციპების ერთგულებაზე. პარტიამ დაიჯერა. ყრილობამ ტაში დაუკრა. აი, ხალხი და ჟურნალისტები კი თავს რატომღაც მოტყუებულად გრძნობენ. "არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში შესვლას არ ვაპირებ, რადგანაც პრეზიდენტი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პარტიული ინტერესებისაგან,"- ეს პრეზიდენტ პუტინის სიტყვებია, კრემლში 700 ჟურნალისტის გასაგონად რომ წარმოთქვა.

რატომ შეცვალა პრეზიდენტმა პუტინმა გადაწყვეტილება? რას მოასწავებს ისედაც საპრეზიდენტო პარტიად მონათლული "ერთიან რუსეთის" ყრილობაზე პუტინის სტუმრობა?

"24 საათის" შეკითხვას პასუხობს რუსეთის პარლამენტის ექს-სპიკერი და უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, 1993-94 წლებში რუსეთის ცესკო-ს თავმჯდომარე **ივან რიბკინი:**

- ჩემი, როგორც ძველი კანონმდებლის აზრით, პრეზიდენტმა პუტინმა უხეშად დაარღვია კანონები საპარლამენტო არჩევნებისა და პოლიტიკური პარტიების შესახებ. უფრო მეტიც, ჩვენს თვალწინ ხდება გაუგონარი რამ, როცა კონსტიტუციის გარანტი თავად არღვევს ქვეყნის უზენაეს კანონს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში კანონის უზენაესობა ცესკო-ს თავმჯდომარის ვიშნიაკოვისა დ პრეზიდენტის ხელშია და ნებისმიერი დარღვევაც ნებადართულია. პრეზიდენტმა კანონი დაარღვია მაშინაც, როცა სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორის პოსტზე არჩევნების წინ წარმატება უსურვა ქალბატონ მატვიენკოს. ბატონი ვიშნიაკოვის აზრით, არაფერი ცუდი ამაში არ არის, პრეზიდენტს ამის უფლება აქვს. ვლადიმირ პუტინი ან ყველა პოლიტიკური პარტიის ყრილობას უნდა სწვეოდა, ან არც ''ერთიანი რუსეთის'' თავყრილობაზე უნდა მისულიყო. გამოდის, რომ კანონი ზოგისათვის კანონია, ზოგსათვის კი - ორლობე. ეს ფაქტი მე ცუდად მენიშნა, ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნებზე, ''ერთიანი რუსეთის'' გარდა სხვა პარტიები დაშვებულიც არ იქნებიან. დანარჩენები არალეგიტიმურნი ხდებიან. ხვალ არც ერთი პოლიტიკური პარტია აღარ გვეყოლება, ავტორიტარიზმი ზეიმობს და შევდივართ მეტად საშიშ პოლიტიკურ სეზონში. ჩვენს თვალწინ ირღვევა ფედერალური კანონები, რუსეთის პარლამენტი დამცირებულია, პრეზიდენტს ერთ საათში შეუძლია ერთპიროვნული გადაწყვეტილებით დემოკრატიულ პრინციპებს უღალატოს. აი, რა ხდება რუსეთში არჩევნების წინ, რაც მეტად საშიში სიმპტომია.

პუტინის იმპერიული ამბიციების წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ამასობაში რუსეთი, ფაქტობრივად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსირებას ახდენს. ამ რეგიონების მცხოვრებთ მან რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭა. ამავე დროს, რუსეთი აკონტროლებს სეპარატისტულ რეგიონებში საქართველო-რუსეთის საზღვარს საქართველოს მხრიდანაც. მოსკოვი ინარჩუნებს პირდაპირ სავაჭრო ურთიერთობებს სეპარატისტულ რეგიონებთან და ორივე რეგიონში ჰყავს ჩაყენებული თავისი ჯარი. ერთი სიტყვით, საქართველოსთან ურთიერთობაში რუსეთი საერთაშორისო სამართლის ნორმებით თავს აღარ იზღუდავს.

საქართველო ამჟამად ამერიკის ეკონომიკური და სამხედრო დახმარების ხარჯზე ახერხებს სტაბილურობის შენარჩუნებას. წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს და უნდა გაგრძელდეს. საქართველო აქტიურად მონაწილეობს ტერორიზმის წინააღმდეგ მიმდინარე გლობალურ ომში. რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, მალე ფუნქციონირებას დაიწყებს ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენი. მაგრამ დასავლეთისა და საქართველოს საერთო ინტერესები შეიძლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს, თუ რუსეთი შეძლებს, საქართველოს ორიენტაცია შეაცვლევინოს. ამიტომაც, ბუშმა უნდა უთხრას პუტინს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება ამერიკის ეროვნულ ინტერესებში შედის და დაცული უნდა იქნეს.

რაც შეეხება მოლდოვას, პუტინი ცდილობს, პრეზიდენტი ვორონინი დნესტრისპირეთში უკანონოდ განლაგებული რუსული ჯარების ლეგალიზაციაზე დაიყოლიოს. რუსული სცენარის თანახმად უნდა მოხდეს ქვეყნის ფედერალიზაცია, რუსული ჯარები კი შეთანხმების გარანტის როლში რეგიონში უნდა დარჩნენ.


ვლადიმირ სოკორი

მოლდოვაში განლაგებული რუსული ჯარები, როგორც ჩანს, ეუთო-ს მიერ დაწესებულ კიდევ ერთ ვადას დაარღვევენ და რეგიონში 2003 წლის 31 დეკემბრის შემდეგაც დარჩებიან. ეუთო ამაზე ხმას არ იღებს. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი კი მაინც აცხადებს, რომ ეს საკითხი ეუთო-მ უნდა გადაწყვიტოს. ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეუძლია პუტინს ამ ჯარების გაყვანა მოსთხოვოს, ბუშია.

კასპიის აუზში რუსეთი, ირანთან ერთად, ბლოკავს ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობას. დღეისათვის რუსეთს თითქმის სრული მონოპოლია აქვს კასპიის ენერგოსიმდიდრეების ექსპორტზე. მოსკოვს ამგვარი მდგომარეობა გარანტირებული აქვს კიდევ 15 წლით. სწორედ ამ ვადით მოაწერა მან ხელი შეთანხმებებს შუა აზიის ქვეყნებთან.

ეს ყველაფერი პირდაპირ ეწინააღმდეგება ვაშინგტონის ენერგეტიკულ პოლიტიკას, რომელიც მილსადენების დივერსიფიცირებას გულისხმობს. რეიგანიდან მოყოლებული, აშშ-ს ყველა ადმინისტრაციამ იცის, რომ ევროპის მეტისმეტმა დამოკიდებულებამ ახლო აღმოსავლეთიდან ან რუსეთიდან მოწოდებულ ენერგიაზე, შეიძლება სერიოზული ბზარი გააჩინოს ევროატლანტიკურ ალიანსში. ამიტომ, ბუშმა სამიტზე აუცილებლად უნდა დააყენოს ყაზახეთიდან აზერბაიჯანამდე მილსადენის მშენებლობის საკითხი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის დიდ სივრცეზე, ბელორუსიდან და უკრაინიდან მოყოლებული - ცენტრალურ აზიამდე პუტინი ახალ ექვსწევრიან საფინანსო-ეკონომიკურ ბლოკს ქმნის. ეს ეგრეთ წოდებული "ევრაზიის ეკონომიკური კავშირი" (ეეკ) მიზნად ისახავს შიდა ბაზრების დაცვას, უფრო ზუსტად კი, უკრაინის ეკონომიკის რუსეთზე მიბმას და ამ ქვეყნის ევროპული არჩევანის დასამარებას.

სამიტზე პუტინი, ალბათ, მოითხოვს ამერიკის დახმარებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანებაში. ბუშმა მას უნდა აუხსნას, რომ ეეკ და მსო შეუთავსებელია.

დასავლეთი პუტინის სახელს ორგვარ იმედებს უკავშირებდა: პუტინი დემოკრატი და პუტინი ტერორიზმთან და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან მებრძოლი. ორივე საკითხში მან იმედები გაგვიცრუა. ამისათვის მისი დაჯილდოება არ შეიძლება. თუმცა, ჯილდოზეც რომ მიდგეს საქმე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რუსეთს დავეხმაროთ იმაში, რომ ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე მან კიდევ რაიმე შეაკოწიწოს.

„სომხეთის სინდრომი" - გაფრთხილება საქართველოს მოსახლეობას

პირველი გვერდიდან

არამიანი წერს: **"სწორედ ეს სკანდალური არჩევნები, რომლებმაც უკიდურესად უარყოფითი შეფასება მიიღო საერთაშორისო სტრუქტურების მხრიდან... გახდა სისხლის სამართლის დამნაშავეობის უპრეცედენტო ზრდის მიზეზი."** იგი იმოწმებს ერევანში გამომავალ გაზეთ "აზგ"-ის მოსაზრებას, რომ დამნაშავეობის ესკალაცია **"არჩევნების დროს შექმნილი ურთიერთობებისა და ატმოსფეროს შედეგია. მოხელეები, ადგილობრივი ავტორიტეტები და კრიმინალური ელემენტები იმდენად იყვნენ ჩარეულნი კანდიდატების უკანონო ხელშეწყობაში, რასაც მაღალი ინსტანციები მფარველობდნენ, რომ შეექმნათ ხელშეუხებლობის შეგრძნება და გაწეული მომსახურებისათვის შესაფერისი "უფლებები" მოითხოვეს. ამ ყოველივემ ანგარიშსწორებამდე მიგვიყვანა."**

სომხეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი, დაშნაკი ვაჰან ოვანესიანიც ადასტურებს, რომ **"არჩევნებმა გამოიწვია დაჯგუფებების შექმნა, რომლებიც საკითხების გადაჭრის ძალისმიერ გზას ემხრობიან. ხელისუფლებამ მათზე კონტროლი დაკარგა."**

მეტიც, ვაზგენ არამიანის სტატიის მიხედვით, **"არჩევნების დასრულებისთანავე დაიწყო ფასების მკვეთრი ზრდა, რამაც, ოფიციალური მონაცემებითაც კი, თვენახევარში 8 პროცენტს გადააჭარბა."** ფასების ზრდა, პირველ რიგში, კვების პროდუქტებს შეეხო. სომხეთის ოპოზიცია მიიჩნევს, რომ მთავრობის მხარდამჭერი საქმოსნები, რომლებმაც წინასაარჩევნო ბრძოლაზე დიდი თანხები დახარჯეს, ფასების გაზრდით ცდილობენ დანახარჯების ამოღებას.

სომხეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოჩნდა ცნობები იმ ბიზნესმენების ქონების უკანონო კონფისკაციის ფაქტებზე, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ ხელისუფლებას – პრეზიდენტ კოჩარიანსა და თავდაცვის მინისტრ სარქისიანს. "ურჩი" ბიზნესმენების ქონებით ხელისუფლება თავისი მხარდამჭერების საარჩევნო ვალებს "ისტუმრებს". ვაზგენ არამიანი წერს, რომ სომხეთის ეკონომიკაში შექმნილი ამგვარი ვითარება **"უცხოელ ინვესტორებს სამუდამოდ მოუსპობს სურვილს, სომხეთის ეკონომიკასთან რაიმე კავშირი დაიჭირონ."**

ვითარებას კიდევ უფრო ართულებს სომხეთში თავისუფალი მასმედიის შევიწროება, რომელიც ჯერ კიდევ არჩევნებამდე დაიწყო. ყველა, მათ შორის ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერი, იმედოვნებდა, რომ ვითარება არჩევნების შემდეგ მაინც გამოსწორდებოდა. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება არჩევნების მერეც არ აპირებს, ლიცენზიები დაუბრუნოს დამოუკიდებელ ტელეკომპანიებს.

არამიანი უიმედო დასკვნამდე მიდის: **"სომხეთის დღევანდელ მთავრობას ევროპასთან არანაირი რეალური ინტეგრაცია არ ესაჭიროება."** ხელისუფლებისათვის უფრო მომგებიანია, "გაუგებარი" ევროპელების ჩარევის გარეშე განკარგოს მოსახლეობის სვე-ბედი, საკუთარი "მენტალობის" მიხედვით.

■ ■ ■

ჯერ კიდევ შეიძლება, სხვის შეცდომებზე ვისწავლოთ.

ბაღდადში გაერო-ს ოფისი კვლავ ააფეთქეს

გუშინ, დილით, ბაღდადის ცენტრში მდებარე გაერო-ს შტაბ-ბინასთან ავტომანქანაში ჩამონტაჟებული ბომბი აფეთქდა, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიღუპა და ჩვიდმეტი დაიჭრა. დაღუპულთაგან ერთი თავად კამიკაძე-ტერორისტია. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, ხუთასი მეტრის რადიუსში განლაგებულ შენობებში თითქმის ყველა მინა ჩაიმსხვრა. აშშ-ს არმიის ოფიციალური წარმომადგენლის კაპიტან შონ კერლის განცხადებით, ტერორისტმა-კამიკაძემ თავისი ქმედებით ერაყელი პოლიციელის სიცოცხლე შეიწირა, რომელიც გაერო-ს ოფისს იცავდა. მისი თქმით, მანქანის საჭესთან მჯდარი კამიკაძე ერაყელმა პოლიციელმა გააჩერა. მათ საუბარი გამართეს, რის დროსაც კამიკაძემ ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა.


აფეთქების ადგილი

გაერო-ს მსოფლიოს სურსათის პროგრამის თანამშრომელმა ჰანან ტაჰირმა სააგენტო "როიტერის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ აფეთქებამ გაერო-ს თანამშრომელთა შორის უდიდესი პანიკა გამოიწვია. "ისინი ყველანი ყვიროდნენ, ტიროდნენ და გაქცევას ცდილობდნენ," - განაცხადა მან. მისი თქმით, აფეთქება დილით მოხდა, ვიდრე გაერო-ს ოფისის თანამშრომლები სრული რაოდენობით გამოცხადდებოდნენ სამსახურში. ამიტომაც აფეთქებამ მინიმალური მსხვერპლი გამოიწვია.

ამერიკელები ამჟამად კამიკაძე-ტერორისტის იდენტიფიცირებას ცდილობენ, თუმცა, ტერორისტის სახის ცნობა თითქმის შეუძლებელია.

ეს ბაღდადში გაერო-ს ოფისზე განხორციელებული უკვე მეორე შეტევაა. პირველი აფეთქება აგვისტოში მოხდა, რის შედეგადაც 22 ადამიანი, მათ შორის, თავად გაერო-ს მისიის ხელმძღვანელი დაიღუპა.

გუშინ ერაყში აშშ-ს სამხედროებზე კიდევ რამდენიმე თავდასხმა მოხდა, რასაც სამი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა.

შრიოდერი ბავარიელებმა დაამარცხეს

გერმანიის მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ბავარიაში გამართულ არჩევნებში მწარე მარცხი იწვნია. ბავარიელ ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ – 60,7 პროცენტმა მხარი ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს დაუჭირა, მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატებმა ხმების მხოლოდ 19,6 პროცენტი მიიღეს.

ეს ქრისტიან-დემოკრატების საკმაოდ დიდი წარმატებაა, რადგანაც ბავარია ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს მხარედ ითვლება. ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერის ედმუნდ შტოიბერის მომხრეებმა ეს წარმატება დიდი ზეიმით აღნიშნეს პარტიის მიუნჰენის ოფისში. მართალია, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია უკვე ორმოცი წელია, რაც ბავარიას მართავს, მაგრამ ასეთი მასშტაბური გამარჯვება მართლაც საზეიმოა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიან-დემოკრატები ბავარიის პარლამენტში ადგილთა ორ მესამედს დაიკავებენ. ბავარიის არჩევნების შედეგები ცხადყოფს, რომ კანცლერ შრიოდერის პარტიას უძლიერესი დარტყმა მიადგა.

თავად შტოიბერიც კი, რომელმაც გერმანიის საყოველაო არჩევნებში მარცხი იწვნია და კანცლერი ვერ გახდა, ბავარიის არჩევნების შედეგებს სენსაციურს უწოდებს. მისი თქმით, ეს არჩევნები ბერლინში მოკალათებულ ცენტრალურ ხელისუფლებას გააგებინებს, რომ მათი პოლიტიკით გერმანელები უკმაყოფილონი არიან.

ედმუნდ შტოიბერი

საფრანგეთი გაერო-ს რეზოლუციას ვეტოს არ დაადებს

ამის შესახებ თავად საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა განაცხადა. მისი თქმით, საფრანგეთი ერაყის შესახებ გაერო-ში წარდგენილ ანგლო-ამერიკული რეზოლუციის პროექტზე ვეტოს უფლებას არ გამოიყენებს. აღნიშნული პროექტის თანახმად, ერაყში საერთაშორისო ძალები უნდა გაიგზავნოს, ამასთანავე, ჟაკ შირაკმა დასძინა, რომ საფრანგეთი მხარს არ დაუჭერს რეზოლუციას, თუკი მასში ერაყის სუვერენიტეტის აღდგენის ვადები მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული და ამ პროცესში გაერო-ს უმთავრესი როლი არ მიენიჭება. ამის თაობაზე, საფრანგეთის ლიდერმა აშშ-ში გამგზავრების წინ განაცხადა, სადაც ის პრეზიდენტ ბუშს შეხვდება და მონაწილეობას მიიღებს გაერო-ს გენერალური ასამბლეის მუშაობაში, რომელმაც ერაყის მომავალი განვითარების ბედი უნდა გადაწყვიტოს.

ამ დროისათვის კი გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს შორის ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული ერაყის დამოუკიდებელი მთავრობის ჩამოყალიბების და ხელისუფლების გადაცემის ვადები და მეთოდები. ძირითადი უთანხმოება საფრანგეთსა და აშშ-ს შორის არსებობს.

ოფიციალური პარიზის მოთხოვნით, ერაყის დამოუკიდებელი მთავრობა ერთი თვის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბდეს, რომელმაც წლის ბოლომდე ქვეყნის კონსტიტუცია უნდა მიიღოს, ხოლო ცხრა თვეში კი საყოველთაო და სამართლიანი არჩევნები უნდა ჩაატაროს. საფრანგეთის ხელისუფლების ეს პოზიცია საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ დე ვილეპენმა გაახმიანა. თავის მხრივ, საკითხისადმი ამგვარ მიდგომას აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა "აბსოლუტურად არარეალისტური" უწოდა.

ამჟამად კი ჟაკ შირაკის განცხადებას ექსპერტები ვაშინგტონთან პოზიციების დაახლოების მისწრაფებად ახასიათებენ. თუმცა, პარიზი კვლავ დაჟინებით მოითხოვს, რომ ერაყში ახალი დამოუკიდებელი მთავრობის შექმნა რაც შეიძლება მოკლე ვადებში განხორციელდეს. ჟაკ შირაკი ერაყში ფრანგული შეიარაღებული კონტინგენტის გაგზავნასაც კი არ გამორიცხავს. **"ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს,"** - განაცხადა ჟაკ შირაკმა ვაშინგტონში გამგზავრების წინ.

არაფატი საერთაშორისო დამკვირვებლების ჩასვლას ითხოვს

პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერმა იასირ არაფატმა ისრაელთან სრული შერიგების სურვილი გამოთქვა, რაც მან "სამშვიდობო ოთხეულისთვის" გაგზავნილ წერილში დააფიქსირა. ამის შესახებ სააგენტო "როიტერთან" საუბარში პალესტინის ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა საებ ერექათმა განაცხადა. მისი თქმით, არაფატი ახლო აღმოსავლეთში სრული მშვიდობის დამყარებისათვის აუცილებელ პირობად რეგიონში უცხოელ დამკვირვებელთა განთავსებას მიიჩნევს.

როგორც ცნობილია, ეს ინიციატივა თავდაპირველად გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა წამოაყენა, რაზეც ისრაელმა კატეგორიული უარი განაცხადა.

ერექათის თქმით, არაფატმა რამალას რეზიდენციაში "სამშვიდობო კვარტეტის" (რუსეთი, აშშ, გაერო და ევროკავშირი) წარმომადგენლები მიიღო და ოთხეულის ლიდერებისათვის წერილი გადასცა. თუმცა, აშშ-ს წარმომადგენელი ამ შეხვედრას არ ესწრებოდა, რადგანაც ვაშინგტონს არაფატისათვის, უკვე დიდი ხანია, უნდობლობა აქვს გამოცხადებული. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ბოლო განცხადების თანახმად კი, იასირ არაფატი არშემდგარი ლიდერია.

არაფატი წერილში აცხადებს, რომ საერთაშორისო დამკვირვებელთა განლაგება კონფლიქტის ზონაში ხელს შეუწყობს სამშვიდობო გეგმის – "საგზაო რუკის" მონიტორინგის განხორციელებას, რადგან დამკვირვებლებს გეგმის დამრღვევების დაფიქსირება უნდა დაევალოთ.

ამასთან დაკავშირებით ისრაელის ხელისუფლებამ უკვე გააკეთა თავისი კომენტარი. **"ყველაფერი, რასაც არაფატი კვარტეტს ეუბნება, გამოწვეულია მის თავზე აღმართული დამოკლეს მახვილის შიშით, – შიშით, რომ ის გაძევდება,"** - განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის მრჩეველმა რაანან გისინმა. მისი თქმით, არაფატის სიტყვების სერიოზულად აღქმა არ შეიძლება.

სააგენტო "როიტერის" განცხადებით, ისრაელი ევროკავშირს, გაერო-ს და რუსეთს პრო-პალესტინურ ძალებად მიიჩნევს და ვაშინგტონისგან, როგორც თავისი მთავარი მოკავშირისგან სამშვიდობო პროცესში მთავარი როლის თამაშს მოითხოვს. თავის მხრივ, პალესტინელები აშშ-ს პრო-ებრაულ სახელმწიფოდ განიხილავენ და ვაშინგტონს კონფლიქტის გახანგრძლივებაში დებენ ბრალს.

არაფატის მთავარი თანაშემწის ტაებ აბდელ-რაჰიმის განცხადებით, "სამშვიდობო კვარტეტის" პარალიზება არ შეიძლება. **"ოთხეულმა თავისი როლი უნდა გამოაცოცხლოს, რათა საგზაო რუკა გადარჩეს,"** - განაცხადა არაფატის მრჩეველმა.

გაზეთ "24 საათის" მთავარ რედაქტორს

პატივისცემით მოგახსენებთ, რომ გაზეთ "24 საათის" 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ .... ელჩთან, რომელშიც ზოგიერთი ქვეყნის წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოების ბრძოლის აუცილებლობას გვირჩევენ. ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს პრესის განყოფილება საზოგადოებრივი აზრის გათვითცნობიერების, თქვენი გაზეთის მკითხველის პატივისცემისა და საქართველოს მოსახლეობის სწორად ინფორმირების მიზნით გაცნობებთ რა შემდეგს, გთხოვთ, ტექსტი გამოაქვეყნოთ თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოეს ნომერში:

ოკუპაციური რეჟიმი შეიქმნა გასული ორმოცდაათი წლის მანძილზე არაბული ტერიტორიების ეტაპობრივი დაპყრობის, უდანაშაულო პალესტინელი ხალხის გენოციდისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მათი ხიზანად ქცევის შედეგად. ამ ხნის მანძილზე ამ რეჟიმმა არ შეასრულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არც ერთი რეზოლუცია, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიების დატოვებას მოითხოვდა. ამდენად, არცთუ შორეული წარსულის დამახინჯება, დაუცველი პალესტინელი ხალხის მასობრივი ჟლეტა და ყოველივე ამასთან ერთად სხვა ქვეყნების მიმართ უსაფუძვლო ბრალდებების შეთხზვა სხვა არაა არის რა, თუ არა რეალობისათვის ზურგის შექცევა, წარსულ შეცდომებზე თვალების დახუჭვა, ჩაგრული პალესტინელი ხალხის უფლებების ფეხქვეშ გათელვა და ოკუპაციის გახანგრძლივება. ირანის ისლამური რესპუბლიკა, კვლავაც განაგრძობს რა თავის პოლიტიკას, ადასტურებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის აუცილებლობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს და დაბეჯითებით ითხოვს ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებას, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას პალესტინელი ხალხის კანონიერი უფლების უზრუნველყოფის საფუძველზე.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს პრესის განყოფილება - თბილისი

**პროექტი "ქართული სახლი"
კონკურსი - "ქართული დიზაინი"**

პროექტ "ქართულის სახლის" ეგიდით, 24 სექტემბერს, 15 საათზე, ღია ცის ქვეშ მუზეუმში გაიმართება კონკურსის "ქართულის დიზაინი" შედეგების შეჯამება და გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოება.

კონკურსის საპრიზო ფონდია: **I** პრემია - 4000 ლარი
- **II** პრემია (ორი) - 2000 ლარი
- **III** პრემია (სამი) - 1000 ლარი
- კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე **გივი მეტრეველი**.
- დაწესებულია სპეციალური პრიზი - 500 ლარი, რომლის თაობაზე გადაწყვეტილებას ჟურნალისტების ალტერნატიული ჟიური მიიღებს.

კონკურსის ორგანიზატორები:
- კომპანია "არსი"
- სტუდია "ორი"

კონკურსის სპონსორები:
TBC - ბანკი, GPI ჰოლდინგი, კომპანია "არსი", GGMW კომპანია, სტუდია "ორი", კომპანია "ორრი", "რუსთავი 2" და ვალერი გელაშვილი

საინფორმაციო მხარდაჭერა:
გაზეთები - "24 საათი", "დილის გაზეთი", "ახალი ეპოქა", "რეზონანსი". ჟურნალები: "გზა", "თბილისელები", "სტილი".

კონკურსის პრომოუტერი: საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა"

**კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ: ტელ.: 251904, (877) 497103 .
www.georgianhouse.ge**

თრეფიკინგი - უფასო იურიდიული კონსულტაციები.
ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი. მისამართი: ალმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" მაღლივი შენობა, 12-ე სართული.
ტელეფონი: 95-10-03

გრანტი ბავშვთა ფეხბურთისთვის

მიხეილ აბაიშვილი

ორი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც პროფესიული ფეხბურთის ლიგა შეიქმნა. ამის მიუხედავად, პფლ-ი აქტიურად ჩაება ქართული ფეხბურთის ცხოვრებაში.

პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფასთან შეთანხმებას მიაღწიეს. შეთანხმების მიხედვით, ქართული მხარე მიიღებს გრანტს, რომელიც ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება. მოგეხსენებათ, პფლ სამ ასაკობრივ ჯგუფში (1985-86, 1987-88, 1989-90 წლებში დაბადებულთა შორის) აწყობს "ბავშვთა ლიგის" სახელით ცნობილ ტურნირს, რომელშიც საქართველოს ყველა რეგიონის ბავშვთა გუნდები მონაწილეობენ. უეფას გრანტი სწორედ ამ გუნდების მგზავრობის და კვების ხარჯების დაფინანსებას მოხმარდება. გუნდებს მხოლოდ ეკიპირების საკითხი დარჩებათ მოსაგვარებელი.

"ბავშვთა ლიგაში" მატჩები ხშირად აყალმაყალით და ხმაურით მიმდინარეობს. არაერთი სკანდალი მომხდარა მსაჯობით უკმაყოფილო მწვრთნელებისა და მშობლების ხელშეწყობით. პფლ ამ ხარვეზის აღმოფხვრაზეც მუშაობს და რამდენიმე ღონისძიების გატარებას გეგმავს. "ბავშვთა ლიგის" მატჩებზე დაინერგება საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პრაქტიკა და თითოეულ თამაშზე დაინიშნება შეხვედრის ინსპექტორი და დირექტორი, რომლებიც ტურნირის ორგანიზაციულ მხარეზე იზრუნებენ. ამას გარდა, პფლის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი შეხვდა მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლი მილჩენკოს და მიაღწია შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც "ბავშვთა ლიგის" თამაშების გარკვეულ ნაწილს უმაღლესი კვალიფიკაციის არბიტრები მოემსახურებიან.

ბავშვთა ფეხბურთში ისევ აღმოსაფხვრელია ისეთი სენი, როგორიცაა გადაზრდილი ბავშვების პრობლემა. პფლ-ს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამ პრობლემის გადასაჭრელად იუსტიციის სამინისტროს არქივი დაიხმაროს. თითოეულ მოზარდზე შედგება ანკეტა, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო დაამოწმებს.

მამლებს ო'ნილი მოუნდათ

BBC-ის ცნობით, "ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ძირითად პრეტენდენტად შოტლანდიის "სელტიკის" დამრიგებელი მარტინ ო`ნილი მოიაზრება. ჩრდილოირლანდიელის გარდა, ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა სხვა კანდიდატურებსაც განიხილავს. მაგალითად, რადომირ ანტიჩმა უკვე განაცხადა თანხმობა, "ტოტენჰემს" ჩაუდგეს სათავეში, თუმცა, ფაქტია, ლონდონელებს ო`ნილის კანდიდაუტურა უფრო ხიბლავთ. კლუბისგან მოწვევა მიიღეს რიგმა სპეციალისტებმაც. მაგალითად, "ბლექბერნის" მწვრთნელმა გრემ საუნესმა ტოტენჰემელებს უარი შეუთვალა. განიხილებოდა შოთა არველაძის დამრიგებლის, "გლაზგო რეინჯერსის" მთავარი მწვრთნელის ალექს მაკლიშის კანდიდატურაც. მაგრამ რადგან მაკლიშმა "გლაზგოსთან" კონტრაქტი გააგრძელა, მისი კანდიდატურა გამოირიცხა. რაც შეეხება კიდევ ორ კანდიდატურას - "ჩარლტონისა" და "პორტსმუტის" მწვრთნელებს ალან კერბიშლისა და ჰარი რედნაპს, მათი რეაქცია ჯერაც უცნობია.

ბილიარდი

პაატა ხმალაძე საქართველოს ჩემპიონია

გუშინწინ ბათუმში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ბილიარდში. ქვეყნის უძლიერესი მობილიარდის წოდება მოიპოვა თბილისელმა პაატა ხმალაძემ. მეორე იყო გურამ ჭოლაშვილი, მესამე - არტურ პოლოსიანი. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ალექსიძემ, რომელიც მეოთხე ადგილს დასჯერდა. აჭარის საუკეთესო სპორტსმენი დავით ფიფია მეხუთე ადგილზე გავიდა.

ტურნირის საპრიზო ფონდი იყო 20000 დოლარი, რომელიც "აღორძინებამ" დააწესა.

TV-სპორტი

სამშაბათი. 23 სექტემბერი

НТВ + ФУТБОЛ

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. "ჰამბურგი" - "ჰანზა"
15:45 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. 26-ტური
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
18:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრისიუმა" – "კორინთიანსი"
20:00 "ევროფანკლუბი". "მანჩესტერ იუნაიტედი"
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:40 თავისუფალი დარტყმა
20:55 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "არსენალი"
22:35 იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:30 თავისუფალი დარტყმა
23:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
00:40 პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" – "ბენფიკა"

НТВ + СПОРТ

11:00, 14:00, 19:00, 22:45 პრესცენტრი
11:15, 19:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი
14:40 "რკინის ფაქტორი"
15:10 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი თურქეთში. ქალები. რუსეთი - თურქეთი
16:40 ბილიარდი. რუსეთის ჩემპიონატი
18:10 როდეო. Bull Riders
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 WNBA საკალათბურთო მიმოხილვა. სეზონის შეჯამება
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი საბერძნეთში. ქალები. საბერძნეთი - სერბეთი და ჩერნოგორია. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 "სპორტული გლობუსი"
23:25 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი საბერძნეთში. ქალები. რუსეთი - უნგრეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:15 ახალი ამბები
01:30 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი

EUROSPORT

11:30 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები
16:00 ფეხბურთი. ევროგოლები
17:30 ველორბოლები. ესპანეთის ტური
20:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ახალი ამბები
02:15 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
03:45 რბოლა კატერებით. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

ფიგუ გაძარცვეს

პაატა თოთაძე

"შეუძლებელია, აქ თავი კარგად არ იგრძნო. გუნდი ხომ ჩინებულია და ქალაქიც ასეთივეა", - "რეალზე" და მადრიდზე საუბრობდა ლუიშ ფიგუ ცოტა ხნის წინ "მარკასთან" ინტერვიუში. საინტერესოა, ახლაც იგივეს ფიქრობს თუ არა პორტუგალიელი ფეხბურთელი – გუშინწინ მისი სახლი გაძარცვეს.

ძარცვა დღისით-მზისით, მადრიდის ელიტურ უბანში "პარკ კონდე ორხასში". პოლიციელთა ინფორმაციით, მძარცველებმა თავდაპირველად მეზობლად მდებარე ვილა გაქურდეს, სახლში მყოფი მოსამსახურე გაკოჭეს და ბინა დააცარიელს. ამის შემდეგ მათი თვალთახედვის არეში ფეხბურთელის ვილა მოექცა...

ბედად, ფიგუ და მისი ცოლი შინ არ იყვნენ, თორემ შეიარაღებულ მძარცველებს, შესაძლოა, მათი სიცოცხლისთვის საფრთხე შეექმნათ. რამდენადაც ცნობილია, მძარცველებმა სახლიდან წაიღეს თითქმის მთელი ძვირფასეულობა, ელექტროტექნიკაც კი, თუმცა, ზარალის ოდენობა დაზუსტებული არ არის. ყველაფერი ფიგუს დაბრუნების შემდეგ გაირკვევა (ის მეუღლესთან ერთად სამი დღით მშობლიურ პორტუგალიაში წავიდა. ეს სამწუხარო ამბავიც სამშობლოში შეიტყო). "საინტერესოა, რას ეძებდნენ ჩემს სახლში. ძვირფასი ნივთები ბევრი არ გვქონდა, რადგან ჩემი ცოლი არ არის მისი დიდი მოყვარული. თუმცა, რაც უნდა იყოს, აღმაშფოთებელია, რაც მოხდა, ძალიან საწყენია, რომ შენი შრომით მოპოვებულს გპარავენ. იმედია, ახლო მომავალში პოლიცია ყველაფერს გაარკვევს და მძარცველებსაც დაიჭერს, რათა მათ სხვებსაც არ მიაყენონ ზარალი", - ასეთია ფიგუს მოკლე კომენტარი მომხდართან დაკავშირებით.

ქურდები ფიგუსაც შესწვდნენ

წინასწარი ვარაუდით, ეს კოლუმბიელების ნახელავია. სტატისტიკის მიხედვით, მადრიდში დღეღამეში დაახლოებით 114 დანაშაული ხდება, მაგრამ ბოლო პერიოდში, კოლუმბიელი ემიგრანტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად იმატა დანაშაულებათა რიცხვმაც. მადრიდის პოლიციას აშფოთებს ის ფაქტიც, რომ კოლუმბიელები, მათი ესპანელი კოლეგებისგან განსხვავებით, არ ერიდებიან იარაღის ხმარებას. ასე, მაგალითად, კოლუმბიელი ემიგრანტების გამოჩენის შემდეგ მკვლელობათა რაოდენობამ მადრიდში სამჯერ იმატა.

ჩოგბურთი

ავსტრალია ბალახს ირჩევს

დევისის თასის წლევანდელ ტურნირს ღირსეული ფინალისტები ეყოლება. ავსტრალიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები გუნდური მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის იბრძოლებენ. ფინალისტებმა შვეიცარიისა და არგენტინის გუნდებთან ჭიდილში მოიპოვეს გამარჯვება. ავსტრალიამ შვეიცარია დაამარცხა, ხოლო ესპანეთმა - არგენტინა. ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით - 3:2 დასრულდა და გამარჯვებულის ვინაობა ორივე შემთხვევაში ასპარეზობის მესამე, ბოლო დღეს გაირკვა.

ესპანელები გრუნტის კორტებზე თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. ეს კარლოს მოიას გადამწყვეტმა გამარჯვებამაც ნათლად დაადასტურა. მან მეტოქეს შანსი არ დაუტოვა და სამ სეტში დაამარცხა, ამიტომ ესპანელთა წინააღმდეგ გრუნტის კორტებზე თამაში ჩვენი მხრიდან სისულელე იქნებოდა, - ფიქრობენ ავსტრალიელები.

შესაბამისად, ადვილი შესაძლებელია, დევისის თასის ფინალური მატჩი ბალახის კორტებზე გაიმართოს. ამის შესახებ ავსტრალია-შვეიცარიის ნახევარფინალური მატჩის გმირმა ლეიტონ ჰიუიტმა განაცხადა. "ეს აბსოლუტურად ბუნებრივია იმის გათვალისწინებით, რომ ფინალში ესპანელებთან გვექნება საქმე. ესპანელები ხომ გრუნტის მოთამაშეებად არიან ცნობილნი. ამიტომ ჩვენ, ალბათ, ბალახის კორტებს ავირჩევთ, - განაცხადა ჰიუიტმა, - რადგან პირველი არჩევანის უფლება სწორედ ჩვენს გუნდს აქვს".

ამასთან, ავსტრალიის ნაკრების კაპიტანმა ჯონ ფიტცჯერალდმა აღნიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას გუნდი საერთო შეკრებაზე მიიღებს (ეს ახლო მომავალში მოხდება).

ლეიტონ ჰიუიტმა ისიც თქვა, რომ დღემდე ახსოვს მატჩი დიდი პატრიკ კეშისა და შვედი მიქაელ პერნფორსის მონაწილეობით. იმ შეხვედრაში კეში - 0:2-ს აგებდა, მაგრამ შემდეგ ძალების მობილიზება შეძლო და მატჩი შესანიშნავ სტილში მოიგო. პრინციპში, რაღაც მსგავსი კვირას ჰიუიტმაც გააკეთა. როჟე ფედერერთან შეხვედრაში ისიც - 0:2-ს აგებდა, მესამე სეტში კი - 3:5-ს, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც მას, 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელს დარჩა. ამ გამარჯვებამ ავსტრალიის ნაკრებს ვადამდე გაუნაღდა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალის საგზური.

ლეიტონ ჰიუიტს ბალახის იმედი აქვს

ავსტრალიელები კი აქტიურობენ, მაგრამ ესპანელებმა მათი აქტიურობა გამოწვევად მიიღეს. "ალბათ, ავსტრალიელები შეაძრწუნა ჩვენთან შეხვედრამ და ბალახის კორტებზე აალაპარაკა. დიახ, ჩვენ, მართლაც, ძლიერად ვთამაშობთ გრუნტზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბალახზე პოზიციებს დავთმობთ. ბალახია თუ გრუნტი, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ფინალი ფინალია და იქ ყველა შემთხვევაში ძალების მობილიზებაა საჭირო. თუ ავსტრალია ბალახის კორტებს აირჩევს, ჩვენ მზად ვართ, ისინი ბალახზეც დავამარცხოთ", - ამბობს კარლოს მოია.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი

ვაჟები:		საჩემპიონო რბოლა:		ქალები:	
1. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	4250	1. ენდი როდიკი (აშშ)	807	1. კიმ კლიისტერსი (ბელგია)	6589.00
2. ენდი როდიკი (აშშ)	4165	2. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	714	2. ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია)	6259.00
3. როჟე ფედერერი (შვეიცარია)	3825	3. როჟე ფედერერი (შვეიცარია)	629	3. სერენა უილიამსი (აშშ)	4691.00
4. ანდრე აგასი (აშშ)	3670	4. ანდრე აგასი (აშშ)	605	4. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	3577.00
5. გილიერმო კორია (არგენტინა)	3000	5. გილიერმო კორია (არგენტინა)	589	5 ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2809.00
6. კარლოს მოია (ესპანეთი)	2685	6. რაინერ შუტლერი (გერმანია)	493	6. ვინუს უილიამსი (აშშ)	2508.00
7. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	2525	7. კარლოს მოია (ესპანეთი)	398	7. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	2341.00
8. რაინერ შუტლერი (გერმანია)	2495	8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	358	8. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2299.00
9. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2145	9. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	290	9. ჩანდა რუბინი (აშშ)	2150.00
10. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი)	1850	10. სიენგ შალკენი (ჰოლანდია)	283	10. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	1702.00

ინფოთეკა

ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში "იუვენტუსსა" და "რომას" შორის მძიმე ტრავმა მიიღო "ბებერი ქალბატონის" თავდამსხმელმა ალესანდრო დელ პიერომ. როგორც ექიმები აცხადებენ, დელ პიეროს დაახლოებით თვენახევრით მოუწევს ფეხბურთთან გამოთხოვება. უფრო ზუსტი ვადა კი ხუთშაბათს იქნება ცნობილი, ანუ, მას შემდეგ, რაც "იუვენტუსის" თავდამსხმელს საფუძვლიან სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. იტალიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ფაბრიციო რავანელიმ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა შოტლანდიურ "დანდისთან". Reuters-ის ცნობით, ამის შესახებ ინფორმაცია შოტლანდიური კლუბის პრეს-ატაშემ გაავრცელა. 34 წლის ფეხბურთელი "დანდის" პირობებს კლუბის პრეზიდენტ ჯოვანი დი სტეფანოსთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დათანხმდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. სატელევიზიო არხ "კანალ 5"-სთვის მიცემულ ინტერვიუში "რომას" თავდამსხმელმა ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ "იუვენტუსთან" თამაშის შემდეგ ველარ იძინებდა. "მთელი ღამე არ მეძინა. სულ ვფიქრობდი, როგორ მოახერხა ბუფონმა იმ ბურთის აღება. მან დაამტკიცა, რომ დიდი მეკარეა. უძილო ღამის შემდეგ მე ტელევიზორში ჩანაწერი ვნახე. ის, რაც ბუფონმა გააკეთა - ფანტასტიკაა" - განაცხადა "რომას" კაპიტანმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი მზადაა, იტალიის "მილანის" ბრაზილიელი თავდამსხმელი რივალდო შეიძინოს, თუ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი კლუბის მიტოვებას გადაწყვეტს. Tribalfootball-ის ცნობით, ფერგიუსონი სილვიო ბერლუსკონის შეხვდა და ბრაზილიელით დაინტერესების თაობაზე აცნობა. "მილანის" ხელმძღვანელობის განცხადებით, ისინი მზად არიან, ბრაზილიელ თავდამსხმელს ახალი კლუბის მოძებნაშიც დაეხმარონ, თუ რივალდო "შავ-წითლებისგან" წასვლას მოინდომებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. Reuter-ის ინფორმაციით, არგენტინის სასამართლომ კიდევ ერთი კვირით გაახანგრძლივა აკრძალვა ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების გამართვის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ ეს აკრძალვა ძალაშია 9 სექტემბრიდან, ანუ იმ დღიდან, რაც "ბოკა ხუნიორსსა" და "ჩაკარიტას" შორის დაპირისპირებისას 70-მდე ადამიანი დაშავდა. მატჩი კი მაშინ შეწყდა, როდესაც მასპინძლები 2:0 იგებდნენ.

ოთხშაბათს არგენტინის საფეხბურთო ასოციაციამ 3 ქულა მიაკუთვნა "ბოკას", რასაც "ჩიკარიტას" მოთამაშეთა და პროფკავშირების მხრიდან დიდი უკმაყოფილება მოყვა. მოარული ხმების მიხედვით, ეს უკანასკნელნი გადაწყვეტილების წინააღმდეგ მასობრივ გაფიცვას გეგმავენ.

■ ■ ■

კრივი. მექსიკელმა ალექს გარსიამ 69,9 კგ წონით კატეგორიაში წარმატებით დაიცვა WBA (ასოციაციის) მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. რეფერის გადაწყვეტილებით, ბრძოლა შეწყდა მეათე რაუნდში, რადგან აშკარა იყო გარსიას უპირატესობა ამერიკელ როში უელსზე. თავად ორთაბრძოლა კი ძალზე სანახაობრივი გამოდგა. 27 მოგებული ბრძოლიდან მექსიკელს 26 ნოკაუტით აქვს დასრულებული.

■ ■ ■

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული ენდი როდიკი Thailand Open-ის ტურნირში მონაწილეობაზე უარის გამო ATP-ის მიერ 40 ათასი აშშ დოლარით დააჯარიმეს.

თავად ჩოგბურთელი საკუთარ გადაწყვეტილებას ტრავმით ხსნის. თუმცა, ტურნირის ორგანიზატორებმა ტაილანდში არ დაუჯერეს როდიკს, რადგან ამერიკელი არცთუ დამაჯერებლად ხსნიდა ტრავმის მიზეზებსა თუ წვრილმანებს.

მსახიობი ყველა დროის ათეულიდან

დღეს ვერიკო ანჯაფარიძის დაბადების დღეა

დიმიტრი როგავა

ქართველი მსახიობი ქალის სიმბოლო; ქართველ მხატვართა და პოეტთა მუზა. ადამიანი - გაიგივებული ოთარაანთ ქვრივთან, მედეასთან, ივდითთან, ოფელიასთან, დეზდემონასთან, მარიამ სტიუარტთან, კლეოპატრასთან, ლედი მაკბეტთან, ბებია ეუხენასთან, ჯავარასთან, ფრუ ალვინგთან, ფატი გურიელთან... ცოტაა...

ვერიკო... რომელიც სულ ახლახანს, ჩვენი თანამედროვეობის ჭეშმარიტი ლეგენდა, მყარად დააბიჯებდა თბილისის ქუჩებში; ვერიკო... რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არ გახუნებია არტისტული ხიბლი და ახალგაზრდული, ცეცხლოვანი, მუდამ ანთებული თვალები - დღეს იუბილარია. დაფასება და პატივისცემა არასოდეს დაჰკლებია მის ნიჭს და ტალანტს, მომავალი თაობებიც კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ მასზე, როგორც მეოცე საუკუნის ქართული თეატრალური ხელოვნების ვარსკვლავზე.

მხოლოდ ერთი რამ არის საწყენი. რატომ არ შეიძლებოდა გასულიყო ქართველ მსახიობთა ლეგენდარული თაობა, საბჭოეთის საზღვრებს გარეთ?! რატომ უნდა გვიჩიჩინონ ქართველებს, ვერიკოს რანგის არტისტის მშობელ ერს, სარა ბერნარის, ელეონორა დუზეს, ანა მანიანის, ვივიენ ლის თუ სხვა თანამედროვე ვარსკვლავთა ტალანტსა და პოპულარობაზე?!

ვერიკო მსოფლიო კულტურული ცხოვრების მოვლენა იყო და მიუხედავად ქვეყნის კარჩაკეტილობისა, მაინც მოხვდა ყველა დროის ათ საუკეთესო მსახიობ ქალს შორის (ინგლისში 1990 წელს ჩატარებულ სპეციალისტთა რეიტინგში).

ამ ოცდაათი წლის წინათ, ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში მან განაცხადა: **"ვზივარ თეატრში და ვფიქრობ - რა ადვილი ყოფილა მსახიობობა? ტყუილად ვიკლავდი თავს, ადვილი ყოფილა თურმე თამაში. ასეთ გაადვილებულ თამაშს სიკეთე არ მოსდევს. ბუნებრივია, ხალხიც არ არის კმაყოფილი. ჩვენს ირგვლივ შთამბეჭდავი ამბები ხდება, ყველაფერი ეს გვაღელვებს, გვაფიქრებს, აგვაღფრთოვანებს, აქ ჩვენ ნამდვილად ვცოცხლობთ, თეატრში კი ყველაფერი უბადრუკი ჩანს. ამ მოვლენებმა სერიოზულად უნდა დაგვაფიქროს...**

თეატრს არა აქვს უფლება არ პასუხობდეს დროის მოთხოვნებსა და ინტერესებს, რადგან სხვანაირად მკვდარი იქნება. თეატრი – ესაა ცოცხალი შემოქმედება, მუდმივი თრთოლვა, განუწყვეტელი მოძრაობა, მუდმივი წვა – აი, რაშია შემოქმედების არსი, - ასე ამბობდა კოტე მარჯანიშვილი. თუ წარიტაცე მაყურებელი, გადასდე მას შენი გრძნობები, გახადე იგი იმის აქტიური მონაწილე, რაც სცენაზე ხდება, - დიდ ბედნიერებას სწვევიხარ!

მხოლოდ ნიჭი ამისათვის საკმარისი არაა. საქმე, რომელსაც ემსახურები, გაშმაგებით უნდა გიყვარდეს, თავდაუზოგავად...

მინდა ვუსურვო ჩვენ ახალგაზრდა მსახიობებს - სცენაზე გამოსულს, შეცნობილი უნდა ჰქონდეს დროის პრობლემათა სირთულე და მათი ამოხსნა უნდა შეეძლოს. მე დიდი აზრებისა და დიდი ვნებების თეატრის ტრფიალი ვარ. მიყვარს ის მსახიობი, რომელიც მაყურებლის სულს ისეთ ჭრილობას აყენებს, დიდხანს რომ ვერ შეხორცდება. მიყვარს ისეთი სპექტაკლები, რომლებიც თავის ცხელ სუნთქვას გადასცემენ მაყურებელს და ამით შთააგონებენ მას."

ვერიკო დღეს ქართული თეატრის ისტორიაა, არტისტული უკვდავების სიმბოლო, თავისი არსებობითა და შემოქმედებითი აღმაფრენით, მომავალი თაობების აღზრდისა და დავაჟკაცების ათვლის წერტილი.

"ეგებ ეგ ლექსი ნაზი ვერ იყოს
ვით ეკადრება ეგებ ვერიკოს..."

ვერიკო ანჯაფარიძე ქართული სცენის ლეგენდა

მძიმე პოლონური რეალობა კინოს სახლში

სალომე კიკალეიშვილი

16-20 სექტემბერს კინოს სახლმა და პოლონეთის საელჩომ ქართველ მაყურებელს პოლონური კინოს რეტროსპექტივა შესთავაზა. წარმოდგენილი იქნა არტურ ურბანსკის ფილმი Bellissima იანუშ მორგენშტერნის "ყვითელი მანდილი", რობერტ გლინსკის "სალამი ტერესკა", იან იაკობ კოლსკის "შორს ფანჯრისგან" და ფელიქს ფალკის "შორს ერთმანეთისგან". მაყურებელს ბოლო ათწლეულის 5 საუკეთესო პოლონური ფილმის გაცნობის საშუალება მიეცა.

პოლონური კინო, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნის კინემატოგრაფი, დღეს კრიზისს განიცდის. როგორც საელჩოს წარმომადგენლებმა განაცხადეს: - დღეს პოლონეთში, გადასაღებ მოედნამდე მისასვლელად კოლოსალური იღბალია საჭირო. სწორედ ამ საკითხებზე, და ზოგადად, პოლონურ კინემატოგრაფზე, ჩვენების დაწყებამდე მაყურებელს პოლონეთის საელჩოს კულტურის ატაშე პანი კინგა მულტანოვსკაია და კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი ელდარ შენგელაია გაესაუბრა, რომელმაც ხაზი გაუსვა პოლონური კინოსათვის დამახასიათებელ რეალისტობას, მუდამ დამუხტულს იმ პრობლემებით, რომელშიც გვიხდებოდა ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ფილმი სხვადასხვა რეჟისორის ეკუთვნოდა და სხვადასხვა სიუჟეტზე იყო აგებული, ამ ფილმებს გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით მოჩანს. მათი პრობლემატიკა საერთო ჯამში ერთ ჯაჭვად შეიძლება ჩამოყალიბდეს. ეს არის ჩვენივე არასწორი ქმედებები, რაც ერთმანეთის მიმართ გულგრილობაში, ყველაფრის მიმართ ინდეფერენტულობაში გამოიხატება. სწორედ ეს გულგრილობა დავინახე იან მორგენშტერნის "ყვითელ მანდილში", სადაც წარმატებული, მაგრამ ამავე დროს ლოთი ბიზნესმენი ფილმის ბოლოს ნამდვილ ბომჟს ემსგავსება. სწორედ აქ ჩნდება ყველაზე ძვირფასი ადამიანი - დედა. მართალია, აქ დედა ცოტა კომიკურადაა წარმოჩენილი (სასმელისგან აკანკალებულ შვილს უყვება ლოთი მეზობლის შესახებ, რომელმაც ველარ გაანება თავი სმას და თავი ჩამოიხრჩო), მაგრამ ის დედაა, რომელსაც შვილისთვის იმ სითბოსა და სიყვარულის მიცემა შეუძლია, რაც ამდენად სჭირდებოდა ამ პოლონური ფილმების თითოეულ გმირს უფსკრულში ჩაშვებისაგან თავის დასაღწევად.

მშობლისა და ბავშვის ურთიერთობა, კიდევ ერთი იმ ნიუანსთაგანია, რომელიც ამ ფილმებს აერთიანებთ. ეს ფილმები ერთი ღერძის გარშემო ტრიალებს – ბავშვი. ერთგან ეს იყო მშვენიერი მარისია (Bellissima), რომლის ექსცენტრიული, ვულგარული დედის წყალობით 14 წლის გოგონა ზედმეტად ადრე იძენს "უფროსთა" ცხოვრების გამოცდილებას. საკუთარი განუხორციელებელი ოცნების გამო დედის ცხოვრების მთავარ მიზნად ქალიშვილისთვის თავბრუდამხვევი სამოდელო კარიერის შექმნა ხდება. ეს საბოლოო ჯამში ქალიშვილის დროზე ადრე დაქალების, მისთვის "დიდების" საზრუნავის (მარისიას დედა მეორე ბავშვის მშობიარობას გადაჰყვება) თავზე მოხვევით თავდება. ბავშვის წარმატებაზე "მზრუნველი" დედა, აქეთ უმატებს საზრუნავს მარტოდ დარჩენილ 14 წლის ქალიშვილს.

არის კიდევ პატარა ბიჭი ფილმიდან "შორს ერთანეთისგან" (ჩვენების ყველაზე სუსტი ფილმი), რომლის ცხოვრება დედის სადისტური მკვლელობის შემდეგ იცვლება. მასაც ისევე როგორც მარისიას, დროზე ადრე უხდება გაზრდა, გაგება იმის, რაც ბავშვთა უდარდელ ცხოვრებაში არ უნდა არსებობდეს. დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს "სალამი ტერესკა", რომელიც რეტროსპექტივაზე, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფილმი იყო. რობერტ გლინსკის მხატვრულ-დოკუმენტურ ჟანრში გადაღებული შავ-თეთრი ფილმი, სადაც მთავარ როლებს ბავშვთა გამოსასწორებელი კოლონიის ორი გოგონა თამაშობს, განსაკუთრებით მძიმე სანახავი იყო. ისევე როგორც ფრანსუა ტრიუფოს "400 დარტყმის" პატარა გმირი, ტერესკაც ზედმეტად ადრე იღებს ცხოვრებისაგან 400 დარტყმას. ლოთი მამა, დედა, რომელსაც უმცროსი ქალიშვილი ჰყავს მისახედი და არ სცალია ტერესკასთვის - ის ხომ დიდია, თვითონ მიხედავს საკუთარ თავს. სამკერვალოში გაცნობილი მეგობარი რენატა (რომელიც ბოლოში, ტერესკას საფულის ქურდი გამოდგება) მას ასე ვთქვათ ახალ ცხოვრებას, ახალ სამყაროს აზიარებს, სადაც ქურდობა, ცილისწამება, სმა და ბიჭებთან ერთად მიტოვებულ ვაგონებში სიარული ჩვეულებრივ საქმედ ითვლება. მისი მოსმენა კი არავის შეუძლია, არავის სცალია. ერთადერთი ვისაც ტერესკა თავის გასაჭირზე ესაუბრება ინვალიდი ედია, მაგრამ არც ის არის ამ არეულ სამყაროში "კეთილის მსურველი". პედოფილი ედი, ბავშვში მხოლოდ სექსუალურ ობიექტს ხედავს და რას აღარ სთავაზობს ერთი კოცნის საფასურად. თუნდაც ფეხებში რკინის ჩარტყმას, ანდა ფეხზე სიგარეტის ჩაწვას, წელს ქვემოთ მოწყვეტილი მაინც ხომ ვერაფერს გრძნობს. ფილმის ბოლოს, მრავალი უბედურებისა და ღალატის (რენატას ქურდობის ამბავი, მეგობარი ბიჭისგან ძალით დამყარებული სქესობრივი კავშირი) შემდეგ მიტოვებული და დამცირებული ტერესკა, რომელსაც აღარსად აქვს მისასვლელი გზა, ედისთან მიდის, სადაც თავისი გულისტკივილის მოსმენის საფასურად ისევ ის ერთი კოცნა, ედის ისევ ის ანთებული თვალები ხვდება. აქ კი ტერესკა შურს იძიებს მთელ ამ სამყაროზე, მთელ ამ უსამართლობაზე და რკინის ჯოხით მომარჯვებული კლავს მის ერთადერთ "მსმენელს". ის დუმილი, რომელიც თან ახლავს ფილმის ბოლო კადრებს, ამ სამყაროს დუმილია ძალადობაზე, სისასტიკეზე.

ფილმები, რომელიც პოლონეთის საელჩომ წარმოადგინა, სხვა ჩვენებებისაგან აშკარად გამოირჩეოდა თემატიკის აქტუალობით. "სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი რეალობა, ეს არის დღევანდელი პოლონეთი" - ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა პანი კინგამ. მართლაც, ეს არის დღევანდელობა. და იმას თუ სად ხდება ყოველივე, პოლონეთში თუ სადმე სხვაგან, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

"შემოდგომის თბილისი" საუკუნეთა მიჯნაზე

ფესტივალის დასაწყისი - ყანჩელის სევდიანი გამოსალმებითა და როჟდესტვენსკის დაუშრეტელი იუმორით

"იმედი მაქვს, წლევანდელი "შემოდგომის თბილისი" არანაკლები იქნება, ვიდრე შარშანდელი, რადგან შარშან ის, მართლაც, ბრწყინვალე იყო" *– გია ყანჩელის ამ სიტყვების სამართლიანობაში შარშანდელ ფესტივალთან დაკავშირებით ეჭვი არავის შეუტანია. გასულ წელს გამართულმა საიუბილეო "შემოდგომის თბილისმა", მართლაც, ისეთი სტანდარტი დაამკვიდრა, რომლის მიმართ შესაბამისობაში ყოფნა - თავად მისთვისაც ძნელი იქნება. მიუხედავად ამისა, ფესტივალის წლევანდელი გახსნა, გასულ წლისას არაფრით ჩამოუვარდებოდა. "შემოდგომის თბილისი" როჟდესტვენსკების სახელოვანმა ოჯახმა გახსნა. გენადი როჟდესტვენსკის დირიჟორობით ქართველი მსმენელი გუშინ სამი ნაწარმოების პრემიერას დაესწრო. გია ყანჩელის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოების "... და მყისვე ქრება სევდიანი გამოსალმება" თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბურობით თავად ფესტივალისთვისაც დიდი პატივია.*

მადი სერებრიაკოვა

თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი დირიჟორი გენადი როჟდესტვენსკის საქართველოში სტუმრობა ყოველთვის მნიშვნელოვან მოვლენებს უკავშირდება. მაესტრო თავადაც იუმორითა და სიამოვნებით იხსენებს, როდესაც წლების წინათ სწორედ თბილისში შედგა მისი ქორწინება. საკმაოდ ხანშიშესულმა დირიჟორმა არ დაიშურა ძალისხმევა და წლევანდელი ფესტივალისთვის განსაკუთრებული პროგრამა მოამზადა. **"გენადი როჟდესტვენსკი უდიდეს ენერგიას ხარჯავს, რათა ამა თუ იმ ქვეყანაში ყოველ მის გამოსვლაზე განსაკუთრებული, ჯერ არდაკრული ნაწარმოებები შესრულდეს"** – აღნიშნავს გია ყანჩელი. წლევანდელ ფესტივალზე როჟდესტვენსკის ხელმძღვანელობით იუბილარმა, თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა ვაგნერის უვერტიურის ოპერიდან "აკრძალული სიყვარული", გია ყანჩელის "...და მყისვე ქრება სევდიანი გამოსალმებისა" და პროკოფიევის სკვითური სუიტის პრემიერებით აღნიშნა. ვაგნერისთვის მეტად არატიპური უვერტიურის შემდეგ (კომპოზიტორს იგი მხოლოდ 20 წლის ასაკში აქვს დაწერილი, როცა მისი საკომპოზიციო სტილი ჯერ კიდევ არ იყო სრულად ჩამოყალიბებული) გია ყანჩელის ნაწარმოებს ჩვეული წარმატება ხვდა წილად. ქართველი კომპოზიტორის ხელწერისთვის ტიპური კოლორიტი, მძაფრი კონტრასტები, ეროვნული ინტონაციები განსაკუთრებულ ჟღერადობას რუსი დირიჟორისა და სოლისტის ინტერპრეტაციით იძენდა. **"ეს ნაწარმოები მრავალჯერ მომისმენია გიდონ კრემერის შესრულებით** – აღნიშნავს ყანჩელი, **- მაგრამ ახალგაზრდა ალექსანდრე როჟდესტვენსკისგან ისეთი რამ მოვისმინე, რაც მანამდე არასოდეს მსმენია... გენადი როჟდესტვენსკის ხომ ჩემი რეკომენდაციები ისედაც არ სჭირდება."**

აღსანიშნავია, რომ ქართველ კომპოზიტორს კურტ მაზურმა ეს ნაწარმოები ნიუ იორკის ფილარმონიული ორკესტრის გრანდიოზული პროექტის, "მილენიუმისთვის" შეუკვეთა. ყანჩელის გარდა ასეთი წინადადება მსოფლიოში კიდევ ოთხმა კომპოზიტორმა მიიღო. მსოფლიო პრემიერაზე სოლისტის პარტიას გიდონ კრემერი ასრულებდა. მოგვიანებით პარიზში "... და მყისვე ქრება სევდიანი გამოსალმება" ალექსანდრე როჟდესტვენსკიმ მოისმინა და მაშინვე ითხოვა მისი შესრულების უფლება. სწორედ მან შეასრულა სოლიტის პარტია ყანჩელის ქმნილების თბილისურ პრემიერაზე (მეორე სოლისტის – კონტრ-ტენორის პარტიას კი ამჯერად ნაირა ნაჩხატაშვილი ასრულებდა).

სამწუხაროდ, ფესტივალის წლევანდელი გახსნა შარშანდელივით ხალხმრავალი არ იყო. თუმცა, რაოდენობასა და ხარისხს შორის რომ განსხვავებაა - კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. თავად დირიჟორიც კმაყოფილი დარჩა რთული და ღრმა ნაწარმოების ასეთი ერთხმად გულთბილი მიღებით: **"შეიძლება ბევრად უარესი ყოფილიყო... ფესტივალი ამტკიცებს, რომ თქვენს ქვეყანაში არსებობს სულიერი კულტურა, რომელიც ყველა ნეგატიურ მოვლენას ამარცხებს"**. როჟდესტვენსკიმ ყანჩელის ეს ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოები უკვე მეშვიდედ შეასრულა - მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მუსიკის განვითარებისთვის ფეხის აწყობას დირიჟორი შეგნებულად არ აპირებს: **"აღარ ძალმიძს გავედევნო იმ ადამიანებს, რომლებიც ქმნიან თანამედროვე მუსიკას. დღეს სულ უფრო ხშირად ემყარება მუსიკა თანამედროვე ტექნოლოგიებს. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ვინმეს რაიმე ავუკრძალო, ან გავკიცხო, მაგრამ მე ამ გზით არ წავალ. ის, რომ სიმფონიურ მუსიკას განვითარების განსხვავებული გზაც გააჩნია, ამაში ყანჩელის მუსიკა მარწმუნებს. ეს ყოველგვარი დოგმატიზმისგან თავისუფალი შემოქმედებაა. თვით შონბერგის შემოქმედებაც გარკვეულ ტექნიკას ემორჩილება, თუნდაც მათემატიკურს – ამიტომაც მის შემდეგ ბევრია "პატარა შონბერგი", "პატარა ბერგი" და ა.შ. მაგრამ არ არსებობს "პატარა ყანჩელი", იმიტომ რომ მისი მუსიკა განუმეორებელია და არავითარ სისტემას არ ემორჩილება".**

გენადი როჟდესტვენსკი და გია ყანჩელი

"... და მყისვე ქრება სევდიანი გამოსალმება"-ს სათაურიც და ვოკალური ტექსტიც შექსპირის სონეტებიდან აღებული ციტატებისგან შედგება. გია ყანჩელმა იგი ჩაიფიქრა, როგორც ერთგვარი გამოთხოვება გასულ საუკუნესთან: **"მეოცე საუკუნე დიდი ტრაგედიების ეპოქა იყო. რომ მოინდომო ეს ყველაფერი ერთ ნაწარმოებში ასახო – სულელი უნდა იყო. მე სხვა გზით წავედი და უბრალოდ გავყევი მუსიკას, ტექსტი კი შემდეგ მუსიკის შინაგანი რიტმიდან გამომდინარე გადავანაწილე."** ნაწარმოების ქართული პრემიერა გია ყანჩელის ახლო მეგობრის, კომპოზიტორის, პიანისტის, დიდი მოაზროვნის – ნოდარ გაბუნიას ხსოვნას მიეძღვნა. ამაში მხარი კომპოზიტორს სოლისტებმაც დაუჭირეს. თავად ყანჩელი მისი ნაწარმოების ქართული პრემიერის მზადებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. **"ეს ორი უმსხვილესი ინდივიდუალობა, ორი უდიდესი დირიჟორია, რომელთაც სრულიად განსხვავებული დროის, სამყაროს შეგრძნება აქვთ" -** აღნიშნავს იგი ქართული და მსოფლიო პრემიერების, როჟდესტვენსკისა და მაზურის შედარებისას.

არანაკლები სირთულითა და სიღრმით გამოირჩეოდა როჟდესტვენსკის მიერ ჩამოტანილი დანარჩენი საკონცერტო პროგრამა – როგორც ჩანს, "შემოდგომის თბილისის" მესვეურებს არ უცდით მსმენელის ე.წ "პოპულარული" რეპერტუარით მოზიდვა. პროკოფიევის კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად დირიჟორის მეუღლე ვიქტორია პოსტნიკოვა ასრულებდა, რომლის განსაკუთრებული მუსიკალური ალღო, მკვეთრი ხელწერა გულგრილს ძნელად დაგტოვებდათ. მეუღლეთა ტანდემის მიერ საკმაოდ რადიკალურად არჩეული პროგრამის თაობაზე საუბრისას როჟდესტვენსკიმ ჩვეული იუმორით აღნიშნა: **"არსებობს მცდარი წარმოდგენა, რომ კონცერტზე სიამოვნების მისაღებად მოვდივართ – ეს სისულელეა, რადგან შოსტაკოვიჩის მე-8 სიმფონიაზე, ყველაზე სადო-მაზოხისტური გადმოსახედიდანაც კი ვერ მიიღებთ ვერანაირ სიამოვნებას. სამაგიეროდ, გამდიდრებული წახვალთ, არა სიამოვნებით - არამედ ემოციური გამოცდილებით".** რა თქმა უნდა, აქ მნიშვნელოვან როლს ახალ პროფესიულ მუსიკას ჯერ კიდევ შეუჩვეველი ქართველი მსმენელის ფაქტორიც თამაშობს. როჟდესტვენსკიმ არ დაიზარა და ამასთან დაკავშირებით ანეკდოტური ისტორიაც გაიხსენა: **"ყველაფერი ჩვევის საკითხია. მაგალითად, ბელგიაში ცხოვრობდა თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსი პოლ კოლე. მას 25 წლის მანძილზე ერთი მზარეული ჰყავდა, რომელიც მთელი დღე იმ მუსიკას უსმენდა, რასაც თავად კრიტიკოსი (ანუ თანამედროვე კომპოზიტორთა, შტოკჰაუზენის, კეიჯის მუსიკას), ერთ დღესაც კოლემ გადაწყვიტა მოცარტისთვის მოესმინა. სამზარეულოდან შეშფოთებული გამოვარდა მისი მზარეული – ეს რა საშინელებას უსმენთ, ნუთუ ესეც მუსიკააო – აღშფოთდა შტოკჰაუზენზე აღზრდილი მსახური."**

"შემოდგომის თბილისის" არატრადიციული გახსნა თბილისის სიმფონიური ორკესტრის ტრადიციული წარმატებითაც აღინიშნა. ორკესტრი, რომელიც საქართველოში, უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესოა, წელს 10 წლის იუბილეს აღნიშნავს (სპეციალურად ამ თარიღისთვის ფესტივალის ფინალისთვის ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია მზადდება). **"არაჩვეულებრივი, ევროპული დონის ორკესტრია, -** გულწრფელი კმაყოფილებით აღნიშნა გენადი როჟდესტვენსკიმაც **– გუშინდელმა კონცერტმა დამანახა, რომ იგი მზად არის ძალზედ რთული მხატვრული ამოცანების გადასაჭრელადაც"**.

გუშინ, გამთენისას დირიჟორი და მისი მუსიკალური ოჯახი კონცერტებით პარიზში გაემგზავრა. "შემოდგომის თბილისი" კი მორიგი სახელოვანი სტუმრისთვის ემზადება: "მოსკოვის ვირტუოზებთან" ერთად (სექსტეტის შემადგენლობით) პიანისტი მიხაილ ლიდსკი ჩამოდის.

რობერტ კაპას დაბრუნება

60 წლის შემდეგ - რკინის ფარდის პირისპირ

გუშინ ერთი ახლობელი ამბობდა, უკანასკნელ წლებში ასეთ მნიშვნელოვან გამოფენას, რომელიც საიდანმე ჩამოეტანოთ, ვერ ვიხსენებო. მას შემდეგ რაც დავაზუსტეთ, რომ თბილისში "მაგნუმის აღმოსავლეთის" ნახვის შესაძლებლობა 1999 წელს მოგვეცა, შევთანხმდით, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მართლაც, არ ჩამოუტანიათ ჩვენთან უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოფენა, ვიდრე რობერტ კაპას საქართველოში გადაღებული ნამუშევრებია. ექსპოზიციის მნიშვნელობა მხედველობიდან არც ქართულ ოფიციოზს გამოჰპარვია. გუშინ ხელოვნების მუზეუმს საქართველოს პრეზიდენტი კულტურის მინისტრთან და სხვა სამთავრობო პირებთან ერთად ესტუმრა. ნამდვილი ფოტოგრაფიის მოყვარულებს კი ექსპოზიციის დათვალიერების საშუალება მხოლოდ მუზეუმიდან ოფიციოზის გასტუმრების შემდეგ მიეცათ.

ქართული ოფიციოზი და რიჩარდ ველანი გამოფენაზე

ვერა ნეფარიძე

თბილისში პირველად უდიდესი ფოტოგრაფის რობერტ კაპას საქართველოში გადაღებული ნამუშევრების ჩვენებას, კაპას ბიოგრაფის რიჩარდ ველანის სტუმრობას უნდა ვუმადლოდეთ. ისევე როგორც ველანის მოწვევა, ექსპოზიციის ჩვენების ინიციატივაც საქართველოს პარლამენტის კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტს, ორგანიზება კი საქართველოში აშშ-ს საელჩოსა და მინისა და მინერალური წყლების კომპანია "ბორჯომს" ეკუთვნის. ექსპოზიციის საქართველოსთვის საჩუქრად გადმოცემა ავტორის ძმის, კორნელ კაპას სურვილია. სააგენტო "მაგნუმის" კიდევ ერთი ცნობილი ფოტოგრაფი დღეს ნიუ იორკის საერთაშორისო ცენტრის (რომელიც ერთადერთი ფოტომუზეუმია ნიუ იორკში) დამაარსებელი და დირექტორია (რიჩარდ ველანმა პრეზენტაციაზე გამოფენის გახსნისადმი კორნელ კაპას გულთბილი დამოკიდებულება გადმოგვცა). მას შემდეგ, რაც იდეის ავტორებმა თანხმობა მიიღეს ექსპოზიციის საქართველოში ჩამოტანაზე, პროექტის ფინანსურმა მხარდამჭერმა "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ექსპოზიცია შეესყიდა. კომპანიის პრეზიდენტის მამუკა ხაზარაძის თქმით, ერთი კვირის შემდეგ ნამუშევრებს ბათუმში დაათვალიერებენ. საბოლოოდ, ექსპოზიცია ბინას თბილისში, ალბათ, "ბორჯომის" ახლადგარემონტებული ოფისის საგამოფენო სივრცეში დაიდებს. მანამდე კი ექსპოზიციის ნახვის შანსი გუშინ კაპას ნამდვილ თაყვანისმცემლებთან ერთად ოფიციოზსაც მიეცა.

"რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ, არა მარტო იმით, თუ როგორ გამოიყურება ეს გამოფენა კედლებზე, არამედ იმითაც, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ უდიდესი პატივი დაგვდო და მობრძანდა. მისი მოსვლა ჩვენთვის ყველასათვის, ვინც ამ გამოფენაზე ვიმუშავეთ, ძალიან ბევრს ნიშნავდა", - გვითხრა გუშინ რიჩარდ ველანმა მას შემდეგ, რაც გამოფენის, მისი ორგანიზატორებისა და კაპას ღვაწლის შესახებ სათქმელი ამოწურეს პრეზენტაციის ოფიციალურმა პირებმა. გუშინდელი პრეზენტაცია არ ყოფილა გამონაკლისი და პრეზიდენტ შევარდნაძის იუმორის მოყვარულებს იქაც ჰქონდათ შესაძლებლობა მეტად სასიამოვნო მხატვრულ გარემოში ემხიარულათ. **"ჯერ კიდევ როდის ამბობდნენ რუსეთში, რომ საქართველო სამოთხეა. როდესაც ამ ფოტონამუშევრებს ვუყურებ, მიჭირს ვიპოვო განსხვავება იმდროინდელ და დღევანდელ საქართველოს შორის. საქართველო იყო, არის და დარჩება სამოთხედ"**, - ასე დაასრულა პრეზიდენტმა შევარდნაძემ გამოფენის გახსნაზე წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვა.

"საქართველოში ჩამოსვლა ჩემს გეგმებში არ შედიოდა. ეს შემთხვევითობაც არ იყო. ისე დაემთხვა ყველაფერი, მე ვფიქრობ, უბრალოდ, გამიმართლა", - გამოფენისა და საქართველოში ჩამოსვლის შთაბეჭდილებები გაგვიზიარა რიჩარდ ველანმა, - ფაქტობრივად, ამ გამოფენას ორი მიზანი ჰქონდა. გვინდოდა გვეჩვენებინა როგორც რობერტ კაპას შემოქმედება, ისე საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტური მასალა". როგორც გვითხრა, ველანს არქივზე მუშაობაში ორი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი დაეხმარა. სწორედ მათი წყალობით გახდა შესაძლებელი ფოტოებზე აღბეჭდილი ისტორიული ადგილებისა და პიროვნებების ამოცნობა. ხოლო შეკითხვაზე, პრეზიდენტისგან განსხვავებით, ხომ არ უპოვია მას რობერტ კაპას გადაღებულ და დღევანდელ საქართველოს შორის განსხვავება, დიდი ფოტოგრაფის ბიოგრაფმა ასე გვიპასუხა: "ძალიან ბევრია მსგავსება. განსაკუთრებით ეს რეგიონებში გადაღებულ სურათებს ეხება, ეკლესიებს და სხვადასხვა ისტორიულ ადგილებს. მაგრამ მე ვფიქრობ, კაპა და სტეინბეკი ახლა რომ ჩამოსულიყვნენ საქართველოში, მათ ძალიან მოეწონებოდათ ის განსხვავება, რაც რეალურად არსებობს".

რობერტ კაპა ის ფოტოგრაფია, ვისი ნამუშევრებიც ყველა ფოტომოყვარულმა კარგად იცის. მაგრამ, ვფიქრობ, გუშინ გახსნილი გამოფენა მაინც აღმოჩენაა ყველასათვის. პირველი, რასაც ექსპოზიციის დათვალიერებისას ამჩნევ, ესა გაოცებაა. როგორ შეიძლება სრულიად უცხო ადამიანმა გადაიღოს, ასახოს ყოფა და კულტურა ისე, რომ არ იგრძნობოდეს გაუცხოება. ამ შეკითხვაზე თავად მისი ბიოგრაფი გვპასუხობს: "როდესაც კაპაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მთავარი – კაპას უყვარდა ადამიანები და იღებდა მათ ნებისმიერ გარემოში, ნებისმიერ ადგილას". ეს კი აშკარად იგრძნობა თუნდაც იმ ფოტოსურათებში, რომლებზეც ასახულია 40-იანი წლების საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, ქართველი ხალხის კულტურულ-რელიგიური თუ ყოველდღიური ცხოვრება.

გამოფენას ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობაც აქვს, რამდენადაც დღემდე არ შემორჩენილა კათოლიკოს კალისტრატეს არცერთი ფოტოსურათი. იგი მხოლოდ რობერტ კაპას ჰყავს აღბეჭდილი მსახურების დროს. დაბოლოს, ალბათ, უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ მთლიანობაში ექსპოზიცია კარგადაა მომზადებული. მეტი შთაბეჭდილებისთვის აშკარად დადებითად მუშაობს ამონარიდები სტეინბეკის "რუსული დღიურებიდან", რომლებიც ფოტოსურათებს ახლავს თან.

მაჟორული ფერები გალერეა "ჰობიში"

ნათია ვადაჭკორია

კულტურული სეზონი ნელ-ნელა ძალას იკრებს. მართალია, ჯერ ის მთელი სიმძლავრით არ განვითარებულა, მაგრამ გარკვეული გამოცოცხლება მაინც შეიმჩნევა. გალერეა "ჰობიმაც" გახსნა თავისი მორიგი სეზონი გამოფენით "კალეიდოსკოპი", რომელზე წარმოდგენილი 71 ნამუშევარი 50-იანელებიდან დაწყებული თანამედროვე თაობის ჩათვლით, ფერწერის კლასიკოსებს ეკუთვნით.

ედმონდ-გაბრიელ კალანდაძის "მზე ამოვიდა", "პეიზაჟი", "ბებერი მუხა პურის ყანაში", "მინდვრის ყვავილები", ლევან ჭოღოშვილის – სერიიდან "განადგურებული ქართული არისტოკრატია", "პოლკოვნიკები", ესმა ონიანის "სამოთხე", "ვარდი ბავშვობაში", ჯემალ კუხალაშვილის "რუსთაველის გამზირზე", "კაზინო ღამით", "ერთი სახლი", მერაბ აბრამიშვილის " ნატურმორტი", ლევან ხარანაულის "ნატურმორტი", "ავტოპორტრეტი", რობერტ კონდახსაზოვის "ვენერა და ამური", ჯონი შონიას "პეიზაჟი", ქეთევან კალმახელიძის (80-იანელთა თაობა) "ორნამენტი" და სხვა ნამუშევრები მაჟორულ ფერებსა და განწყობას გადმოგვცემს, ფერადოვნებით გამოირჩევა. ქეთი მიმინოშვილის ფერწერა ნათელი ფერებითა და დადებითი ენერგიითაა გაჯერებული.

გამოფენის გახსნაზე მხატვარმა ედმუნდ კალანდაძემ აღნიშნა, რომ გალერეა "ჰობის " დირექტორის – ვანდა მუჯირის დამსახურებაა, რომ გალერეა მუდამ წარმატებულად ფუნქციონირებს და ყოველთვის საინტერესო გამოფენებს მასპინძლობს.

ასე რომ, ზაფხულის შესვენების შემდეგ "ჰობი" ისევ ფუნქციონირებს, ისევ მასპინძლობს გამოფენის ავტორებს და დამთვალიერებლებს. წინ კი მრავალი საინტერესო, შთამბეჭდავი გამოფენა, დიდი გეგმები და სასიამოვნო განწყობა გველის. "კალეიდოსკოპი" კი 7 ოქტომბრამდე გასტანს.

TV პროგრამა
23 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური“ **11.00** სერიალი „ჯაშუში“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** ბუნება **18.50** პერეკროსტოკი **19.10** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა „საქართველო-უახლესი ისტორია“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ. ფილმი „წყლის სიმძიმე“. მთ. რ-ში: კეტრინ მაკორმაკი, შონ პენი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** მულტსერიალი „კიტუ“ **10.10** მხ. ფილმი „ამფეთქებელი“ **11.45** დოკ.სერიალი „ბუნების სამყაროში“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი „გადამჭრელი“ **16.45** დოკ. ფილმი „აზრუზის დათვი“ **17.15** მულტსერიალი „კიტუ“ **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.30** ავიაშოუ **21.45** „ჩვენი ფეხბურთი“ **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „ჭია-მაიები“ .

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „სკუბი-დუ“ მთ.რ-ში მეთიუ ლილარდი, ფრედი პრინცი უმც. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** „ბრავო“ „საათები“ მთ.რ-ში ნიკოლ კიდმანი, მერილ სტრიპი. **01.40** „ღამურა“ „გაქრობა“ მთ.რ-ში ჯეფ ბრიჯესი, კიფერ საზერლენდი. **03.00** პაუზის გარეშე .

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი „დიდიე“ **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი „აღორძინების ეპოქის ადამიანი“ .

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „40 დღე და 40 ღამე“ **13.30** მხ. ფილმი „საქმის გარჩევა ტოკიოში“ **15.00** მხ. ფილმი „მედოლე“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ.ფილმი „დათვი“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ირმებზე მონადირე“.

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია“ **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „მიტოვებული ბარგი“ **18.00** დოკ. ფილმი **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ.“ფუქსი“ **00.55** მუსიკა

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** მულტსერიალი „კონკია“ **10.35** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **11.05** სერიალი „ინდიგოს მიწა“ **12.00, 14.05, 15.10, 16.20, 17.50, 18.50, 22.10** მუსიკა **12.20** მხ. ფილმი „მეფური ცხოვრება“ **14.50** „ოსტატი“ - ქვის კაცი **15.30** მხ. სერიალი „გამანადგურებლები“ **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ მე-16 ს. **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „კონკია“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „ინდიგოს მიწა“ **20.00** „ევროპის სტადიონებზე“ **21.15** სერიალი „გამანადგურებლები“ **22.25** „ტელემეტრი“- მალაზია, სალეჭი რეზინა **23.00** მოკლ. მხ. ფილმი „იყვირე“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.30** მხ. ფილმი „ფორსმაჟორი“.

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 01.00** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ **10.30** სპორტ. პროგრამა „გოლი“ **11.05** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები“ **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „ამაზონია“ **15.15** მხ. ფილმი „ვარსკვლავთა ქვეშ“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **20.15** ლარის მახე **20.40** „დროებითი ზღვარი“ **23.15** მძაფრსიუჟეტიანი კინო „საბედისწერო გატაცება“ **00.45** ქრონიკა.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.20, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **09.30** სათავგადასავლო ფილმი „მელი“ **11.00** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** თრილერი „ნიკიტა“ **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** თრილერი „ნიკიტა“ (გაგრძ.) **14.30** კომედია „შესანიშნავი“ **16.20** მულტფილმი „ბიჭუნა ჯუნგლებიდან“ **17.00** ფილმი-კატასტროფა „დღის სინათლე“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.20** კომედია „ჟანდარმი და უცხოპლანეტელები“ **21.45, 01.00, 05.50** მუსიკა **21.50** „გალერეა“ **23.00** Пресс-папье **23.05** „რა არ ხდება“ **23.15** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება უცხო ენებზე **01.20** დეტექტივი „მიწისქვეშა გადასასვლელი“ **03.40** დრამა „რომეო და ჯულიეტა“ 24 სექტემბერი .

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** „ბედნიერი ერი“ **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.55** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.15** ტელესერიალი - „მაქმანები“ - მე-8 სერია **12.55** დისნეი და მისი მეგობრები **13.15** მელოდია. **13.40** კომპიუტერული თამაშები **18.20** აუდიო -ვიდეო- ტელე **18.55** მოკლედ... უცხოეთი **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.05“სახლიდან გაუსვლელად“ - კომპიუტერული თამაშები **21.15** „ავტოტრეკინგი“ **22.15** კომპიუტერული ტექნიკა **22.50** „კინოკლუბი“ - „იჩქარებ, ხალხს გააცინებ“. მელოდრამა. რეჟ: ენდი ტენეტი. როლებში: სელმა ჯაიეკი, მეთიუ პერი. **00.30** მელოდია **00.40** ტელესერიალი - „ვარსკვლავური კარიბჭე“- მე-7 სერია **01.30** მობილურები **02.15** ანონსი .

ОРТ

07.00 „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 10.20 Худ.фильм „Две судьбы“ 11.30 Худ.фильм „Молодая Екатерина“, 1 с. 12.40** Дисней-клуб: „Ким Пять-с-плюсом“ **13.20** „Город женщин“ **14.10** „Смехопанорама“ **14.40 Детектив „Восток - дело тонкое“ 16.20** „Фабрика звезд 3“ **16.40** „Ералаш“ **17.00 Сериал „Берег мечты“ 18.00** „Большая стирка“ **19.30** „Сати“. К. Райкин **20.50 Сериал „Убойная сила. Золотая обойма“ 22.00, 00.30** „Время“ **22.30 Худ.фильм „Две судьбы“ 23.40** „Лубянка“. „Русская война в Париже“. Фильм 1 **00.50** „На футболе“ **01.20** „Сканер“. „Как делают хорошую погоду“ **01.50** „Фабрика звезд 3“.

РТР

06.00 „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55 Сериал „Каменская 2“ 10.50** „Не скуЧАЙ!“ с М.Евдокимовым **11.50, 14.50, 17.30, 01.15** „Вести. Дежурная часть“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** „Короткое замыкание“ **13.50 Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“ 15.30** „Что хочет женщина“ **16.30 Сериал „Лучший город земли“ 18.10 Сериал „Бригада“ 19.10 Мелодрама „Ундина“ 20.00 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **23.00 Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“ 00.00** „Вести+“ **00.20** „Раскрыть и доказать“ **01.30** „Народный артист“ **01.40 Комедия „Гарлемские ночи“ 03.55** „Дорожный патруль“ **04.10 Сериал „Ангелы Чарли“ 05.05 Сериал „Затерянный мир“.**

НТВ

07.00 „Утро на НТВ“ **09.50 Сериал „Черный ворон“ 11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Намедни“ с Л. Парфеновым **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15** „Сегодня“ **13.30** „Красная стрела“ **13.45** „Страна советов“ **14.35 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 15.45** „По праву“ **16.35** „Принцип домино“. „Мой ребенок-наркоман“ **18.30 Сериал „Супершпионки“ 19.25** „Территория выживания“ **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 21.45 Сериал „Черный ворон“ 23.00** „Страна и мир“. **23.35** „Красная стрела“ **00.00 Сериал „Клан Сопрано“ 01.40** „Гордон“ **02.45** „Кома: это правда“ **03.15 Сериал „За гранью возможного“.**

მშვენიერი ემი თუ იკონოსკოპი?

პირველი გვერდიდან

ამიტომ ტელევიზიის ნაციონალური აკადემიაც იძულებულია, ორმაგი ჯაფა გასწიოს და დაჯილდოების ცალ-ცალკე ცერემონიალები გამართოს – ახალი ამბებისა და დოკუმენტური ჟანრის გადაცემებისთვის და სხვა დანარჩენი პროგრამებისთვის. ასე რომ, 21 სექტემბერს, ლოს ანჯელესში სწორედ ამ სხვა დანარჩენ პროგრამებს აჯილდოებდნენ. თუმცა, ნურც ის შეგაშინებთ, იქ ჩვენი ნაცნობი არავინ იქნებოდაო. ჟიურის დანარჩენ წევრებთან ერთად დარბაზში ხომ აკაკი გოგიჩაიშვილი იჯდა. ესეც რომ არა, ლოს ანჯელესში თავს უცხოდ ვერც "სოპრანოს კლანის" მაფიოზი ბიჭებისა და სექსზე გაგიჟებული ნიუ იორკელი გოგოების წყალობით იგრძნობდით. იქვე იყო ჟერარ დეპარდიეც, რომელიც კამერის წინ გამომწვევად ეწეოდა და ცდილობდა, რაც შეიძლება გამაღიზიანებლად მოქცეულიყო, და ჯილდოებს გადასცემდა მშვენიერი ალისია სილვერსტოუნიც.

რაც შეეხებათ ჩვენი ნაცნობი სერიალების ნაცნობ გმირებს, მათგან თავი სოპრანოს კლანის წევრებმა გამოიჩინეს. მართალია, საუკეთესო დრამატული სერიალის ტიტული მათ NBC-ის "მარჯვენა ფრთამ" წაართვა, მაგრამ სამაგიეროდ დრამატული სერიალის საუკეთესო მსახიობი მამაკაცი ჯეიმს განდოლფინი გახდა "სოპრანოდან", ქალი კი – მისი პარტნიორი, ედი ფალკო. სერიალმა ასევე აიღო პრიზი დრამატული სერიალის საუკეთესო სცენარისთვის და დაჯილდოვდა ჯო პანტოლიანოც – მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლისთვის.

სერიალზე მუშაობა მაინც სხვაა, ვიდრე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. რადგან მოქმედება დაუსრულებლად გრძელდება, მსახიობებს, მართლაც, ექმნებათ ისეთი განცდა, რომ ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობენ. ედი ფალკომ ჯილდოს აღების დროს სწორედ ამ განცდაზე ისაუბრა. "ყველას გისურვებთ ისეთ გარემოს, როგორშიც ჩვენ სერიალს ვიღებთ. იმდენს მივაღწიეთ, რომ საუკეთესო სამუშაო სიტუაცია შევქმენით", - განაცხადა მან.

თუმცა, რადგანაც "ემის" ჟიური "რეპეტეზე" გიჟდება, ხშირად ტელეშოუები და მსახიობები ერთი და იმავე ჯილდოს რამდენჯერმე იღებენ. ასე მოხდა წელსაც: მთავარმა სოპრანომ, ჯეიმს განდოლფინიმ და მისმა პარტნიორმა ედი ფალკომ ეს პრესტიჟული პრიზები წელს მესამედ მოიპოვეს. თუმცა, ზუსტად ამდენჯერვე არ გაუმართლა თავად სერიალს: "სოპრანოს კლანი" წლის საუკეთესო დრამატული სერიალი ვერც ერთხელ ვერ გახდა. ზედიზედ მეოთხე წელს, ამ ტიტულს "მარჯვენა ფრთას" აძლევენ, რომელიც რეალურად ისეთივე პოპულარობით ველარ სარგებლობს, როგორსაც "სოპრანო" დღემდე ინარჩუნებს.

რაც შეეხებათ ქართული ღამის ეთერის ძალიან კოლორიტულ და ძალიან სექსუალურ პერსონაჟებს – ოთხ ნიუ იორკელ მარტოხელას, ამჯერად შინ ისინი ხელცარიელნი დაბრუნდნენ. არადა, გოგოებს იმედი ჰქონდათ, რომ კიდევ ერთხელ მოიპოვებდნენ მორიგ ტიტულს საუკეთესო კომედიური სერიალისთვის.

თუმცა, ეს პრიზი CBS-ის სიტკომს, "ყველას უყვარს რეიმონდი" გადაეცა. სერიალი ამ პრესტიჟული პრიზით პირველად დაჯილდოვდა. "ემი" გადაეცათ ქალისა და მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებლებს ამავე სერიალიდან და დაჯილდოვდა მისი სცენარის ავტორიც.

სარა ჯესიკა პარკერი განსაკუთრებულად იყო გამოპრანჭული, მაგრამ კომედიური სერიალის საუკეთესო მსახიობი ქალის ტიტული მის ნაცვლად დებრა მესინგს გადასცეს "უილი და გრეისიდან". ეს დებრას მეოთხე ცდაა, მანამდე მას სარა სჯობნიდა. ამავე კატეგორიაში კი საუკეთესო მამაკაცი მსახიობი ტონი შალჰოუბი გახდა შოუდან "მღვდელი".

ბუნებრივია, "ემის" ყველა ნომინაციის ჩამოთვლა შეუძლებელი და უინტერესოცაა. უბრალოდ, გეტყვით, რომ საუკეთესო მინი-სერიებისთვის "ემი" სტივენ სპილბერგის ფილმმა Taken-მა აიღო, სატელევიზიო ფილმის ტიტული კი – ფილმმა "კარიდან კარზე", რომელიც TNT-ზე გადის.

თავად ცერემონიალი MTV-ისებური რამდენიმე დეტალით გამოირჩეოდა. კერძოდ კი, ლოს ანჯელესში განმეორდა მადონას, ბრიტნი სპირსისა და კრისტინა აგილერას მხურვალე კოცნის მსგავსი ამბორი. ჯერ ვნებიანი კოცნა საღამოს მასპინძელმა გერი შენდლინგმა მსახიობ ბრედ გარეტს უძღვნა, შემდეგ კი მეთიუ პერიმ – დორის რობერტსს.

ერთი სიტყვით, ყველა კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით კი ქსელის, HBO-ს წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ მისი შოუები წლევანდელ "ემიზე" დაჩაგრეს – "სექსი დიდ ქალაქში" უპრიზოდ დარჩა და მთავარი ჯილდო არც "სოპრანოს კლანს ერგო, HBO-მ მაინც რეკორდული რაოდენობის ჯილდოები მოაგროვა – სულ 18 "ემი".

დაბოლოს, ეს ჩვენი "ემი" რეალურად არსებული ლამაზი ქალბატონი რომ არ გეგონოთ, ჯილდოს ისტორიასაც გადავავლოთ თვალი.

სატელივზიო ჯილდოს შექმნის იდეა 1948 წელს გაჩნდა. თავიდან ფიქრობდნენ, რომ ის იკონოსკოპად მოენათლათ; შემდეგ ვარაუდობდნენ, რომ ჯილდოსთვის პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის პატივსაცემად, აიკი დაერქმიათ. ბოლოს გადავიდნენ "ტილიზე" (ტელევიზიის შემოკლებული სახელწოდება) და ასე მიადგნენ "ემის" – ასევე შემოკლებული სახელიდან "იმი", რომელიც სატელევიზიო მილს აღნიშნავს. თუმცა, ლამაზი ქალბატონი მაინც არის შუაში. "ემის" დიაზინის ავტორმა სტატუეტზე გამოსახული ქალი თავისი მეუღლის პროტოტიპით შექმნა. ასე შეუზავეს ერთმანეთს ტელევიზია და ლამაზი ქალი, რომელიც ამერიკული ტელეეთერის მთავარ მამოძრავებელ ძალად დღემდე რჩება.

REUTERS
ედი ფალკო - ქალი, რომელმაც "სოპრანოს კლანი" ასახელა

REUTERS
სარა ჯესიკა პარკერი "ემის" გარეშე დარჩა

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 27 ნოემბერი.

MBA — მარკეტინგი / ფინანსები / IT; ელექტრონული კომერცია / HRM; პროექტის მენეჯმენტი
MSc — საინფორმაციო ტექნოლოგიები; კომპიუტერული სისტემის ინჟინერია; ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £3950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 6950. 3-წლიანი კურსის ინჟინრის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით ისწავლიან, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ. იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI).
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!

იხილეთ გაზეთ "24 საათში"

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში.
დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია
მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83

სს "გაერთიანებული ქართული ბანკი"

იწვევს **30 წლამდე ასაკის** ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ბანკში მუშაობით,

საკრედიტო ოფიცრის თანამდებობის დასაკავებლად

სამუშაოს მოკლე აღწერილობა:
- ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის შექმნა
- პროექტების მომზადება საკრედიტო კომიტეტისთვის
- სესხების მონიტორინგი
- საკრედიტო პორტფელის მართვა

ძირითადი მოთხოვნები:
- უმაღლესი ეკონომიკური განათლება;
- საკრედიტო დაწესებულებაში მუშაობის 2 წლის სტაჟი;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების (Word, Exel) კარგი ცოდნა;
- ანალიტიკური და ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, კომუნიკაბელობა და კლიენტზე ორიენტირებულობა;

უპირატესობა მიენიჭებათ პირებს, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინოთ:
განცხადება, CV-მონაცემები განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ, დიპლომის და სხვა სერტიფიკატების ასლები, ფერადი ფოტოსურათი, სარეკომენდაციო წერილი - სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" სათავო ოფისში მისამართზე:
ქ.თბილისი, დ.უზნაძის 37, პერსონალის და საქმეთა მმართველობის დეპარტამენტი.
ტელ. 93-18-66, ფაქსი: 95-60-85; 99-91-39
ან გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე:
personal@ugb.com.ge

სს "გაერთიანებული ქართული ბანკი" თავად დაუკავშირდება სასურველ კანდიდატს

განცხადებები მიიღება 2003 წლის 30 სექტემბრამდე

ყოველ პარასკევს,
ღამის კურიერის
პირდაპირ ეთერში
თქვენ შეგიძლიათ სტუდიაში დასწრება და გადაცემის მსვლელობის დროს უშუალო მონაწილეობის მიღება.
დარეკეთ 24 საათის განმავლობაში,
ნომერზე 332609
გაიარეთ წინასწარი რეგისტრაცია და მოხვდით ღამის კურიერის სტუდიაში.

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი "მზიური" აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში.
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
ტელ: 29 48 61, 95 45 75, 91 03 17

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.